


345 / 9
1908



საქმასწავლებლო ნახატებიანი
ქურონალი

№ IV

აპრილი

1908



შ ი ნ ა ა რ ს ი

ქურხალ „ჯეჯილისა“

I სურათი. რას შესკუპულობარ მანდა! 2

II ჩიტი, ლექსი ეთერი რაზიკაშვილისა 3

III აქლემი, ამბავი რუსულით, ტასოსი 4

IV რამდენი წლისა ბარ? თარგ. რუსულით მღვდელი ბეს. ვაშაძესი 5

V ოლღას გამარჯვება, ფრანგულით ეკ. მ—სა 6

VI კევიანი და გივი, არაკი სომხურიდან, ვასო ქავთარაძისა 12

VII გუგული (დასასრული) ა. ფ—სი 17

VIII წვრილმანი: გამოცანები, ზმა, ანაგრამა, შარადა, გა-
სართობი და ნაკვესი 27

IX უნებლიეთი დანაშაული, ეკ. გაბაშვილისა 29

X როგორ გაჩნდა ღვინო, ლეგენდა, ჩაწერილი ილ. ალ-
საზიშვილისა 35

XI ჯიუტი თხა. მამინ სიბირიაკის ზღაპარი. გაგრძელება
თარგ. ეკ. შესხისა 41

XII მანქანა მეფეა და შრომა—ფული (გაგრძელება) ა. ფ. 45

XIII უგულო ბავში, მოთხრ. მონგომერისა, დასასრული.
თარგ. ელ. წერეთლისა 51

XIV საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყო-
ბილება, წერილი მეოთხე ივ. გამარაძისა 45

XV ბუნების ლექსიკონი, ნაწილი პირველი, შედგენი-
ლი ილ. ალსაზიშვილის მიერ 25

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის

ჯეჯილზე



ქართული
ენციკლოპედია



საქართველო ნახატებიანი
ქურნალი


იხარღე, მწვანე ჯეჯილო
დაბურღი, გახღი ყანაო!..
ი. ღ.

№ IV

აპრიღი, 1908

დავღიღადი მმცხრაღებე

თ ფ ი ჯ ი ს ი
ელექტრომბეჭღავი აზხ. „ზრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.
1908



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩ ი ტ ი.



სეხე ზის ჩიტი ჰატარა,
სევდით გამტერებულა,
არცა სჭამს, არცა ჭიკჭიკობს,
მწარეთ დაღონებულა.


თვალთაგან ცრემლი ჩამოსდის,
ისე ვით ნაკადულია,
რადგანაც სედავს მის ბარტყებს
ბუდე აქვს დანგრეულია.
გულის საკლავათ წიაკობს:
რათ დამინგვრიეთ ბუდეო,
ჩემი ბარტყების სასლაკარი,
სამირკველი და სღუდეო?
გამაკებინეთ, მითხარით,
ნეტა რა დაგიძავეთო?
რათ წამიმწარეთ ცხოვრება,
ბუდე რათ მამიმალეთო?
მე ვუარაულობ ბოსტანსა,
გამორებთ ღუბა ჭიანსო,
და თქვენგი ისე მექცევით,
როგორც რომ გველს მსამიანსო.

ეთერი რაზიკაშვილი.
(13 წლის).

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

საქართველოს
პარლამენტი
ბიბლიოთეკა

ა ქ ლ ე მ ი .



ატელით დატვირთული აქლემი მიჰყავდა ერთ ემაწვილ ბიჭს. უოველთვის, როგორც კი აქლემი ან გზას გადუნებდა, ან წაიბორძიკებდა, ბიჭი დაუწევდა მწარეთ ცემას და მერე რა სასტიკათ ცემას. აქლემი მოთმინებით იტანდა ეველაფერს, ალბათ იმედი არა ჰქონდა თავის დასწევისა.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ იმ ემაწვილ ბიჭს უკანვე მოჰყავდა ეს აქლემი დატვირთავი და როდესაც სასლს მოძორდენ კაი მანძილზე, აქლემი უცბათ შედგა, მიიხედა-მოიხედა, ხომ არავინ მიცქერისო და როდესაც თავი მარტო დაიკულა, აიტაცა კბილებით ძაღლა უბედური ემაწვილი და მიწასე ისეთი ძალით დანარცხა, რომ თავი შუასე გაუპო. ამას შემდეგ, ვითომ არაფერიო, აქლემმა განაგრძო თავისი გზა.

შორიდან მკვავრებმა დაინახეს, მაგრამ საუბედუროთ ვერ მოასწრეს ემაწვილის გადაჩენა.

ტასო.

(რუსულით)

რამდენი წლისა ხარ?



რთხელ სსსამართლოში მსაჯულმა ჰკითხა მდიდარ ბრალდებულს: — რამდენი წლისა ხარ?

— არ ვიცი ნამდვილათ, ოცდათვრამეტისა, ან ორმოცდა რვისა ვიქნები.

— როგორ შეიძლება, რომ არ იცოდეთ თქვენი წლოვანობა, უთხრა მსაჯულმა.

— ბატონო მსაჯულო! განა აგრე საჭიროა მზგინთ ცოდნა! მე ვაჭარი კაცდი ვახლავარ

და სულ იმას ვანგარიშობ, რამდენი ფული შემომდის, ან რამდენი მენარჯება. მე მსოლოთ ჩემ ქანებას და სიმდიდრეს ვითვლი, რომელიც დასაკარგავია და მოსაპარავია და არა წელიწადებსა. აბა რა საჭიროა წლოვანების ანგარიში და ცოდნა, როდესაც ჩემ წლოვანებას, სანამ ცოცხალი ვიქნები, ვერც არავინ მომპარავს და არც თვითონ დაძეკარგვის.

მღვდელი ბეს. ვაშაძე.

(რუსულით)

ოლღას გამარჯვება

ფრანგულით.



— ჩემო მამა, გიძეოვრებ, რომ სვალ შენი სახლიდამ გასვლა სამუშაოთ შეუძლებელია. მკურნალმა სასტიკათ ავიკრძალა ჩემო საუვარელო, ჰატარა მა. მავ.

ასე ალერსით ელანაზრებოდა ცხრა წლის ჰატარა გოგონა ოლღა თავის ციკით და სიცხით დასუსტებულს მამას. ის ძალიან კარგათ გრძნობდა, რომ მისი საუვარელი გოგონა ერთადერთი ნუგეში და მძიმე ცხოვრების თანამოზიარე მართალს ეუბნებოდა, მაგრამ რა ექნა?

ოლღას დიდი ხანია რაც დედა მოუკვდა და ეკლას ის იყო ოჯახის და ავანთყოფ მამის მოძულელი. რკინის გზის ჰატარა სახლის სარკმლიდამ, რომელიც ტეჰში იდგა, სჩანდა რომ დიდი სიცივე და თოვლი იყო.

— წარმოიდგინე, ჩემო საუვარელო შვილო, თუ

რს შედეგი მოჭეუება ამ ჩემ ხანგრძლივ ავადმყოფობას, იმხდა ნაღვლიანათ მიხეილი.— განა არ იცი, რომ უფროსს უბრძანებია, თუ ხვალდამ მუშაობას არ შეუდგები, სამსახურიდამ დამითხოვს... მერე რა უნდა ვქნათ, სომ მე და შენ შიმშილით დავიხრცებოთ.

— ვიცი, ჩემო ძამილო—და საცოდავ ბავშვს თვალები ცრემლებით ავესო. უცბათ წამოხტა, ცრემლები მოიწმინდა და სთქვა:

— რა დროს ტირილია, უნდა მოვიგონო რამე საშუალება, რომ ამ საცოდავ ავადმყოფს თავისი დარდი შეუმსუბუქო.

— მე რომ სამსახურიდამ დამითხოვონ, განაგრობო მიხეილმა, რა გვემელება, ჩემო ჰატარავ? ჰურის საუიდელო ფული არც კი გვექნება.

ძამა და შვილი რამდენიმე ხანს გაჩუმებული იყვნენ; ოლღა, რომელიც აქნობამდინ ძამას ლოგინთან იყო დაჩოქილი, წამოხტა და მსიარულად წამოიყვირა:

— ვიზოვნე! გამოვძებნე! ასე ვიზამ! რა უშავს?

— რა დგეძართა შვილო?

— საიძისო არაფერი, ჩემო საუვაბრელო ძამილო, მე მინდა ხვალ სადგურზე წავიდე და შენს მაკიურად გზის მცველათ დავდგე! აფსუს რომ ადრე არ მომაგონდა.

— სიძმარში სომ არა ხარ, ჩემო საცოდავო, —



შენ თითონ არ გესმის, რას ამბობ! რა დროს ხუმრობა?

— მე არა ვხუმრობ, სთქვა ოლღამ და სიამოვნებით ლოყები წამოუწითლდა. — არა, ჩემო ძამა, რა დროს ხუმრობაა და მასწრობა, როდესაც შენ აგრე ძმიძე ავადმეოყს გხედამ, მე მინდა ხვალ შენი ადგილი დავიჭირო, ეს გადაწევეტილი ძაქეს. შენ თითონ ნახამ, როგორ კარგათ შევასრულებ ჩემს მოვალეობას და ეველანი მადრიელნი და კმაყოფილნი დამჩიებინ. მე ესლავე ჩვენს ქეხობელ სოფოსთან გავიქცევი და ვსთხოვ, რომ ხვალ მოვიდეს და ჩემს ძაკვირად მოვიაროს. ბავშვი უცბად გაჭქრა.

— რა გინდა? ჭკითხა სოფომ ოლღას. — შენ, გზის ძცველად, ერთი ლუკმა გოგო! კაი, თუ დემერთი გწამს, მოხუცის სამასხაროთ აგდება სირცხვილია, თუ გინდა ხვალ მოვალ დილა ადრიან, რომ ეგ შენი მოგონილი სისულელე შეგიძალო.

ძეორე დღეს, დილის ოთხ საათზე, მიხეილის ქონიდან ერთი რაღაც საოცარი ქმნილება გამოვიდა. ტანზე გრძელი ქურქი ესურა, თავზე ყაბალანი და ფეხებზე ძაღალ ეელიანი ნაბდის ჩექმები ისე, რომ გორც რუსეთში რკინის გზის მოსამსახურებს აცვიათ.

— განა გზის ძცველს არა ვკვარ? სთქვა ოლღამ დიმილით და სადგურისკენ გაექანა, რომ სრულ სუთ საათზე, როგორც ძამა მისი, თავის ადგი-



ლსე ეოფილიეო. სსვა მცველებიც შეგროვილიუნენ.

— შენ აქ რა გინდა? შეჭვევირეს რამდენიმე მათ-
განმა და უფროსმა კი, გაჯაფრებულმა, სასტიკათ უბრ-
ძანა აქედამ გათრეუდიეო და სსვეებს ნუ უშლიდა.


— მე მოვედი მაძიხემის მაგივრათ, უნდა იძის
ადგილას დავდგე; ის ძალიან, ძალიან ავად არის სა-
წეალი, ამის თქმასე საცოდავ ბავშვს გული ამოუჯდა
და ცხარე ცრემლები წამოსცვივდა, ბოლოს ნაღვლი-
ანათ დაუმატა:

— მაშ რა ვქნათ, თუ არ ვიმუშავეთ, სომ შიძი-
ლით დავინოცებით. ამ სიტყვებმა სიბრაღეულის მა-
გივრად სიცილი გამოიწვია.

— კარგა, კარგი, ეგ სისულელეა, წადი, ჰატა-
რაჲ, ისევე შენ ქოხში დაბრუნდი.

— არ შემიძლია, უპასუხა ოლღამ გადაწვეკეტით,
მე უთუოდ უნდა მაძი ხემის თანამდებობა შევასრუ-
ლო, დარწმუნებული იყავით, რომ მე ძალიან კარ-
გად ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. მაძა ხემი სშირად
მიამბობდა თავის მოვალეობას. ამ სიტყვებზე უფ-
როსს შესედა: მესაფრების ბილეუებს ჩამოვართმევ, მი-
ნამ ვაგონილამ გამოვლენ. დარწმუნებული ბრძანდე-
ბოდეთ, რომ არც ერთს არ დავივიწეებ.

— რა საკვირველი ბავშვია, მე ჯერ ამისთანა
ამბავი არც მინახამს და არც გამიგონია, წაიბუტბუ-
ტა უფროსმა. — შენ ერთობ ჰატარა ხარ, რომ ეგ სა-
ქმე შეასრულო, მატარებელის კიბეს ვერც კი სწვდე-



ბი. დამიჯერე ვატარავ, დღეს ძალიან ცივა, სასლში
დაბრუნდი და მამა შენს მოუარე.

— არა, გესვენებით, გთხოვთ, ნება მიბოძეთ
დღეს მამიჩემის მოადგილეთ დავრჩე. თქვენ თითონ
დარწმუნდებით, რომ ჩემ საქმეს კარგად შევასრულებ.
ემუდარებოდა ოღონდ ტირილით უფროსს—წარმოიდ-
გინეთ, რა დაემართება საცოდავ მამა ჩემს, როდესაც
იმის მოსარჩენათ საჭირო ფული არ გვექნება.

ამ საცოდავ ბავშვის თხოვნამ და ტირილმა უფ-
როსს გული მოუღებო.

* * *

მამის მძიმე ქურქში გახვეული ოღონდ დაუღალა-
ვად და უძიძრად დარბოდა, სძირი თოვლის ნაფლუ-
თები სახეში ევრებოდა, მაგრამ არაფერმა ხელი არ
ძეუძალა ამ საცოდავ ბავშვს და თავის მოვალეობას
გულმოდგინეთ ასრულებდა. ოღონდ მარჯვეთ მატარებ-
ლის ერთი საფეხურიდამ მეორეზე სტებოდა ხოლმე
და ბილეთებს ართმევდა იმას ფიქრადაც არ მოსდი-
ოდა, რომ ამჯერდის უფროსის ბრძანებით მეორე
მცველი შორი-ასლოს თვალს ადევნებდა. ემაწვილმა
მარტო ის შეამჩნია, რომ როგორც კი მატარებლის
ვიწრო საფეხურზე ფეხი გაუსწლტებოდა ხოლმე, ის
მცველი მაშინათვე იქ გაჩნდებოდა და შეიმაჯრებდა.

მგზავრები გაკვირვებული იყვნენ, რომ ეს ერთი
ციდა გოგო ასე მარჯვედ დარბოდა და ბილეთებსა
სთხოვდა ეველას.



სალამოზე, კარგა გვიან, ოლღა კმაყოფილი და ბედნიერი, რომ გამარჯვება, მამის თანამდებობა სვინი-დისიერად შესრულა, თავის მამასთან გაემურა. ის ისე დაღალული, აღელვებული და ბედნიერი იყო, რომ დიდხანს ვერ დაეძინა.

— ოჰ! რა კარგია რკინის გზის მოსამსახურობა ამ ჩვენ გზაზე, იმეორებდა ამაყად ოლღა, რომ კორც მეომარი, რომელმაც თავისი ჯარი დაღუპვას გადაარჩინა.

შემდეგისთვის ოლღას ნება აღარ მისცეს მძიმე თანამდებობა აესრულებინა. მის მამას, სანამ ავად იყო, ჯამაგირს სრულად ამღევდნენ და ფულითაც დასახუქრეს. ამ ჰატარა ბავშვის ამბავს გზის მცველები ხშირად უამბობდნენ ხოლმე თავიანთ შვილებს.

ეკ. მ—სა.



ჭკვიანი და გიჟი

ა რ ა კ ი

(სომხურიდან).



ეო და არა იყო რა, იუვენ ორნი ძმანი. ერთი გიჟი, მეორე ჭკვიანი. ჭკვიანი ძმა უოველთვის ამუშავებდა თავის გიჟ ძმასა და აწვალებდა. ერთსელ გიჟი მოთმინებიდან გამოვიდა და უთხრა თავის ძმას: „აღარ მინდა შენთან ცხოვრება, მომეცი ჩემი საკუთრება რაც მერგება, და წავალ ჩემთვის ვიცხოვრობო“. ძალიან კარგით — უთხრა ჭკვიანმა, — ხოლოთ დღესაც შენ გარეკე საქონელი, და როცა წუალს დაღვეენ და მოვლენ, რომელნიც ბოსელში შევლენ ის ჩემი იუვეს, და რომელნიც არა — ის შენი იქნესო, და მინამ შენ მორეკამ მე საჭმელს მოვუშაადებო. დასთანხმდენ ორთავ ძმანნი. როცა გიჟმა საქონელი მორეკა გაუდეს თუ არა ბოსლის კარები, მაშინვე შიგ შეცვივდენ, ერთმანეთს აღარ აცლიდენ იმიტომ, რომ სამთარი იყო და ძალიანა ჭყინავდა, ხოლო ერთი ავათყოფი სბო მოკუნტულიყო სიცივისაგან და იდგა ერთ ალაგას, რადგან არ შეეძლო სიარული. რასაკვირველია გიჟიც თავის სიტყვას აღარ გადავიდა, მოაბა თოკი ეელზე, და გაუძღვა წინ, რომ წაეყვანა გასაუიდათ. ეწევა თოკს და თან

ეუბნება: მოძვევ ჩემო ფუჩინავ, ხაგიუვან ბაზარში და გაგვიდი თუძნათ, სულ ამ სიტყვებს იძეორებდა და მიდიოდა გზათ. ახლომასლო ერთი დანგრეული სახლი შესვდა, საცა არავინა სცხოვრობდა, და აქ ისეთი დიდი ხმით დაიუვირა: გავეიდი თუძნათ რომ სახლმა ხმა მისცა და იქიდან მოესმა: თუძნათო, და გიჟი გაჩერდა. მითხარი, უკანასკნელი ფასი თუძნია, კარგი?

— კარგი...

— როდის მოძვევ სვალ?

— სვალ... მოესმა გიჟს დანგრეული სახლიდან ხმა.

— მაშ სვალ მოვალ და საცა გინდა მიძოვე და მოძვეცი, და ამ სიტყვებით წამოვიდა სახლში გახარებული, ვითომ ეს არის გავეიდეო, ხბო კი დანგრეულ სახლის კარებთან თოკით დააბა და ისე მიანება თავი. ძეორე დღეს დილა ადრიან ადგა და გაუდგა გზას, რომ ფული აიღოს, რა მიუხსლოვდა დანგრეულ სახლსა და დაინახა აქეთ-იქით გაფანტული ძვლები მაშინვე გაიფიქრა: უთუოდ დაუკლავთ და შეუჭამათო. ის კი არ იცოდა, რომ იმათ სოფელში ღამ-ღამობით ხუთი—ექვსი ძველი ერთათ დათარემობდა, და ხბოც იმათ მიერთმიათ ვახშმათ; ძვლები კი ხბოს ჰატრონისთვის დაენარჩუნათ. გიჟმა კი მხარულათ დაუწყო ლაპარაკი დანგრეულ სახლს. ხორცი როგორი იყო როცა დაკალი, სუქანა იყო თუ არა?

— არა... მოესმა ხმა.

— ცოტა არ იუვეს—არას გაგონებხე გიყი შე-
 ფიქრიანდა, და ერთი კიდევ შესძახა ხმა ძალა: ჩემს
 ფულს მადლევ თუ არა?

— არა... მოესმა იქიდან.

გიქმა თავისი დიდი კომბალი ჩამოიღო მხრიდან,
 რომელიც თოფივით ჰქონდა გადებული და დაუწყო
 კედლებს ცემა ჯავრის ამოსაურებად. ერთხელ, ორ-
 ჯეჯილი... მესუთეთ ისეთი ძალით დანარტყა, რომ რამ-
 დენიმე ქვა ძირს ჩამოვარდა გორბობით, ამ ქვებთან
 ერთად უცბათ წამოვიდა ძალიდან ვერცხლი და
 ოქრო ჩხრიალით. როცა ფული სულ გადმოცვივ-
 და კედლიდან და ძირს გროვით დადგა, მაშინ, გიქა
 დაჰწვდა ერთსა, აიღო, ჩაიღო ჯიბეში და უთხრა: აი
 ეს ერთი თუძანი, რასაც გაძირიგდი სბოში და და-
 ნარჩენი არ მინდა, ისევ შენი იუვესო და წამოვიდა
 შინ. როცა მოვიდა სახლში, ჰკითხა ჭკვიანმა მამა,
 სბო გაჰვიდევ თუ არაო.

— გაუვიდევ კიდევ და ფულიც, ერთი თუძანი, მი-
 ვიღეო. ჭკვიანს გაუკვირდა და ჰკითხა: ვის მიჰვი-
 დეო? ზასუნად მიიღო: აი იქით, დანგრეული სახლე-
 ბი რომ არის იქ მიუვიდეო, და ეს თუძანიც იმათ
 მომცესო და უჩვენა ოქრო.

ცოტა არ იუოს ჭკვიანი შეფიქრიანდა და უნდა
 გაეგო, თუ რაში იყო საქმე და ჰკითხა: მითხარი რო-
 გორ იყო საქმე, ან როგორ გაუვიდევ, ან როგორ აი-

ღე ფული. მაგრამ გიჟი არ უპასუხებდა თუ როგორ მიიღო ეს ფული.

— მე რომ შენ გასწავლო, ეუბნებოდა გიჟი, შენ ისეთი ხარბი თვალი გაქვს, რომ წამიყვან და რაც იქ ოქრო-ვერცხლია სულ მე ამკიდებ და წელს მოძაწვევტინებო.

— შენ მაგის დარდი ნუ გაქსო, უთხრა მძას, ოღონდ შენ მასწავლე ის ადგილი და არაფერს არ შეგაწუხებო და ხომ ხედავ, რომ ტანისამოსი არ გაცვია და შენთვის ტანისამოსსაც ვიყიდი და ჩაგაცმევო, ეგ თუმანიც მომეც, მე შეგინახამო

ტანისამოსის გაკონებაზე სინარულით კინაღამ ცას ეწია. მისცა თუმანი ჭკვიანს მძას და გაუძღვა წინ. — პირველათ როცა მივედი და უთხარი: ჩემი ფული მომეციო, უამბობდა გიჟი გზა და გზა, არ უნდოდა მოცემა, მაგრამ ამ ჩემი კეტით რომ გვერდები აუსურე, მაშინ კი იკადრა და ჩემ წინ გადმოუარა რაც ოქრო და ვერცხლი ჰქონდა და ამ სიტყვებით კიდევ მივიდენ იმ ადგილას და ნახეს აუარება ფული. ჭკვიანი მაშინვე მიხვდა, რომ ამ კედელში უწინდელ დროში ხაზინა ეოფილა შენახულიო და რაც რამ იყო, სულ მოხვეტა და წამოიღო სახლში. ასე-ნაირად გაძდიდრდა ჭკვიანი, მაგრამ თავის გიჟ მძას არც ტანისამოსი უყიდა, და არც ქუდი. გიჟი ეხვეწებოდა მიუიდეო, მაგრამ ჭკვიანი ეურადღებას არ აქცევდა. ბოლოს გიჟი წავიდა მამასახლისთან საჩივლე-



ლათ.—ბატონო მამასახლისო! მე და ჩემი ძმა რომ
გავიუარებით და გავიუავით, ერთი ხბო მერგო, მე
ჩემი ხბო წავეყვანე და ერთ დანგრეულს სახლს მიუ-
ვიდე.....

— დანგრეულს სახლს მიჭვიდე? წადი ახლავე აქედან,
აქ აღარ დაგინახო, და გამოავდო მამასახლისმა

საწუალი გიჟი დადის დღესაც აქეთ-იქით და
ვისაც ეუბნება თავის თავ-გადანსავალს—დანგრეულ
სახლს მიუვიდეო... ვუკლანი დასცინიან და იძისი
ჭკვიანი ძმა კი, რომელიც იძის წუალობით გაძდი-
რდა, ეხლა მასთან ლაპარაკსაც არ კადრულობს.

ვასო ქავთარაძე.



ბ უ ბ უ ლ ი

(დასასრული).



რთხელ დედ-მამა ნადირობიდან რო
დაბრუნდენ საშინელი ალიაქოთი და-
სვდათ სასლში, ეველას უნდოდა
ეამბნო, რაში იყო საქმე, ეველა
ცხარობდა და ევიროდა:

— რა მოხდა, რა! არა შესძის

რა, მითხარით დალაგებით, ნუ ჩქარობთ.

როგორც იქნა გააჩიეს რაშია ცუო საქმე. თუ-
რმე დიდ ბარტეს გადაეგდო ბუდიდან ჰატარა. ეს უკა-
ნასკნელი იქვე ბალასში ჩავარდნილა, მოსულა შელია,
კაუკია ჩიტუნის ჩხავილი და შეუჭამია.

— „ჩემი რა ბრალია, ჰირველათ იმან დამიწყო
ჩხუბი, სთქვა დიდმა“.

— მე შენ გაჩვენებ, გაანჩსლებული ეცა შეილს მამა
კაჭკაჭი

მაგრამ დედამ მოასწრო, ერთი კარგათ ჩაურაკუნა
მამას თავში,— გრესვენოდეს, რასა შვრები, რათა სცე
ზაწიას, ხელი არ ახლო, მაგისი რა ბრალია.

დედ-მამამ კარგა ხანს იდარდეს შეილის დაკარ-

სამართვალ
პარლამენტ
ეროვნულ
ბიბლიოთეკა

სამართვალ
ეროვნულ
ბიბლიოთეკა

1990



გვა, ბოლოს ისევ წავიდენ საჭმელის საშოვნელათ. რა ექნათ, სამ დანარჩენ ბარტეს კარგი მადა ჭქონდათ. საცოდავი მშობლები სასოწარკვეთილებაში იუვენ ჩავარდნილნი. დიდი ბარტეი კი იზრდებოდა, დანარჩენებსე ბევრათ დიდი იუო და პატარებს, როცა მარტო იუვენ, სჩაგრავდა.

— „ეცადეთ ძმურათ იცხოვროთ, ძვილებო, აბა სად შეგიძლიათ თქვენ თვითონ საჭმელის შოვნა, თქვა დედაძმ, — ნეტავი ჩქარა დაიზრდებოდენ რომ სამხრეთისაკენ გავისტუმროთ, საჭმელის შოვნა იქ უფრო ადვილია.

გავიდა ერთი კვირა და კიდევ მოხდა ერთი უცნაური ამბავი. დედაძმა ისევ შეწუხდენ. ერთ დღეს, როდესაც ნადირობიდან დაბრუნდენ, ბუდეში მარტო დიდი ბარტეი დახვდათ.

— „სად არიან შენი ძმები!“ შეჭკვივლა დედაძმ.

— რა ჩემი ბრალია რომ ბუდიდან გადავარდენ, მე მოვტრიალდი, ისინი კი გადაცვივდენ, რა ჩემი ბრალია, ჯერ ერთი გადავარდა, მე შემეშინდა, მერე მეორეც გადაჭევა, მერმე მოვიდა მეღია და შესჭამა.

მშობლებმა დაიწიეს ცხარე ცრემლით ტირილი.

— ძლიერ პატარა ბუდე ავაშენეთ, სთქვა ბოლოს ძამა კაჭკაჭმა, მაგრამ განა ვიცოდით, რომ ამხელა შვილი გაგვიჩნდებოდა, რა რიგ იზრდება, შიმსა ვგრძნობ მაგის ცქერით.



— დროსე უნდა გვეფიქრა მაგის აღზრდასე, მიუგო დედა-კაჭკაჭმა, საცოდანო ჩემო შვილებო!

— ეს მაინც შეგვეჩეს. შვილო, იყავ ჭკვიანათ. შენს მეტი ვილა გვეავს.

ბარტეი დაჭწირდა და მაშინათვე შეჭულაპა ეოკულისფერი, რაც მოიტანეს მშობლებმა.

— კიდევ, კიდევ მშინან, გაიძახოდა ბარტეი.

მშობლებს შეუწევებელი მოჭქონდათ საჭმელი, ბარტეი კი სულ მძიერი იყო.

ბოლოს იმოდენა განხდა ეს ბარტეი, რომ ბუდეში აღარ ეტეკოდა.

ერთსელ დედა რო შინ დაბრუნდა შვილი ტოტსე ჩამომჯდარი ნახა.

— ღმერთო ჩემო, რომ ჩამოვარდე?

— სულ მიწერები, რა დაგეძართა, უხხრა წერო-მით შვილმა. ბუდეში მეტი ჯდომა აღარ შემიძლია, ვერ ვახერხებ იქ მოთავსებას. ნეტავი მოგკვდე და გადავჩე ამ წვალებას. საჭმელი მომიტანე რამე?

მშობლები მოესძარენ შვილს ჩამოსულიყო ტოტიდან, თანაც ესვეწებოდენ კარგათ ჩამალულიყო ბალახში, თორემ მეღია მოვიდოდა და შესჭამდა. დღეში ასჯერ მოჭქონდათ მისთვის საჭმელი. ბარტეი ახლა დიდი იყო, შეიმოსა ბლომათ ბუბლით, ფრთები დაეჩხრდა, ფრენაც შეეძლო. ტანით ბევრით დიდი იყო მშობლებსე, ფერიც სულ სსვა ჭქონდა. მამა-კაჭკაჭი დიდხანს უეურებდა სოლმე და მერმე იტეკოდა:

„სულ არა გვგავს ჩვენ, ჩვენ ჰატარები ვართ და სხვა ფერისა““. ერთხელ ბარტემა გადაულაზა დიდი, საზისღარი მატლი.

— შეილო, რა ჭქენი, გადაბგდე, მოგწამლავს, მოკედები.

— რამდენჯერ შემიჭამია და არა დამმართნია რა, უნასუსა შეილმა. თქვენი მოტანილი საჭმელი მე არა მყოფნის.

— ეს როგორი კაჭკაჭია, არ შესმის, თქვა მამამ და გადახედა თავი.

„ეგ კაჭკაჭი არ არის“, გაისმა სიასლოვეს უიდაცას სმა. ამან გადისედა და დაინახა ბებერი ნიბლია.

— როგორ თუ კაჭკაჭი არ არის?

— სრულებითაც არ არი კაჭკაჭი, ეგ ძველი, მუდმივი ამბავია. რომ მოგიყუე გრძელი და არა სასიამოვნოა.

— თქვი რაშია საქმე, შეესვეწა კაჭკაჭი და მიუწინდა მასთან ასლო.

— ასალს ვერას გაიკებ, მაგრამ საჭიროა ეველამ მოისმინოს ეს ამბავი, ჩვენ, ბებრები, ბევრს რასმეს სასარგებლოს გასწავლით თქვენ, ასალგასრდებს.

ბებერმა ნიბლიამ დაიწყო ამბავი ძალაღლის სმით. ერთ წამს მოფრინდენ ნიბლიები, კაჭკაჭები, ტოროლები, ჭიჭივები, საუა ჩიტები და კიდევ ბევრი სხვა. ეველამ იძოვა ადგილი ასლო-მასლო ბუჩქებსე და მოუთმენლათ ელოდენ, რას იტყოდა ბებერი ნიბლია.



გ უ გ უ ლ ი

— იცნობთ დიდ ნაცრისფერ ჩიტს, რომელიც ქურდულათ მიიპარება ჩვენ ბუდეებისაკენ? დაიწყო ნიბლიამ.

— როგორ არა, ის მიძინოა, უპასუხა ახალგაზდა ჭიჭიანაძე.

— არ გცოდნია, მიძინო იჭერს ჩვენ ჰატარა ჩიტებს ბარტყებისათვის საჭმელათ, როგორც ჩვენ ჭიანჭველებს ჩვენი შვილებისათვის. ასეთია თურმე ბუნების კანონი, მაგრამ რასა იქ. მე რომ ჩიტზე გეკითხებით— გუგულია, გარეგნობით კი ჰგავს მიძინოს, მაგრამ მასავით გულადი და ჰატოისანი არ არის. გუგული ეშმაკი და ზარმაცი ჩიტია, არასფერს არ აკეთებს, დაფრინავს ტყე-ტყე და გაიძახის თავის „გუ-გუ“-ს. ეგებ გგონიათ სხვა ჰატოისან ფრინველებსავით გუგული აკეთებს ბუდეს? არასოდეს მას არ გაუკეთებია ბუდე, ერთი ღერო ჩაღა არ მიუტანია, არასოდეს არ მჯდარა კვერცხსე და თვითონ არ გაუთბია შვილები, ერთი ბუჩი არ ჩაუდგია მათთვის პირში. როგორც კი დასდებს გუგული კვერცხს, მაშინათვე აიღებს ნისკარტით და ჩაუდებს რომელიმე სხვა ჩიტს ბუდეში. სხვა ჩიტი ზრდის ბარტყს, უკლის მას,— გუგულის ბარტყი კი ართმევს საჭმელს იმის საკუთარ შვილებს, აგდებს იმათ ბუდიდან.

ნიბლიას მსმენელი ჩიტები გაოცებულნი იხსდნენ ტოტებსე და ბუჩქებსე. კაჭკაჭები თვალებ დაჭყეტილნი შესცქეროდნენ ნიბლიას.



— აი ამათ ჭეჭვდათ განსაზრდელათ გუგულის ბარტეი, განაგრძო ნიბლიამ, შესედეთ როგორი გამხდრები არიან, ჭკითხეთ სად არიან მათი საკუთარი შვილები? გინდათ ნასოთ მაგათი განსაზრდილი? აი მანდ ზის ბალახებში და მშიერი ჰირს ალებს.

ჩიტებმა გადახედეს გუგულს და დაიწიეს ჭივილი. გუგული ანტა და გაიქცა, მერმე დაბრუნდა ევირილით: „არა, მე არა ვარ ცუდი, არა ვარ ცუდი“.

ჩიტები დაედევნენ, უნდოდანთ მისი მოკვლა, მაგრამ გამხრდვლები გამოქსარჩლენ: „მაგის მეტი არავინა გვევას, რამდენი ტანჯვა გამოვიარეთ, სანამ გამოვხარდეთ, ხელს ნუ ახლებთ“.

— „მე თვითონ ჰემიძლია დავიცვა ჩემი თავი. დიდ მადლობას ვუცხადებ ჩემს გამხრდვლებს. ნიბლიამ რაცა სთქვა აქ, არა მჯერა, მე ვეცდები გავიგო მართალი“. ამ სიტყვებით ის შეფრთხილდა და გასწია შორს, შორს, უცხო ქვეყნებში. გაგებული ამბავი მოხვეწებს არ ამღეუდა მას, ვერ გაეგო რათ ჩაგდო მშობელმა დედამ ასეთ ცუდ მდგომარეობაში. უნდოდან ენახა სადმე დედა და ეკითხა ეველბაფერი.

დადგა ზამთარი. ტვე დადუძდა, ჩიტები გაემგზავრენ თბილ ქვეყნებში. ჩვენი გუგულიც იქ იყო, მოწიქნილი, მარტოთ იჯდა მალალ ხეზე. დარდიანი, სულ ნიბლიას ნაამბობზე ფიქრობდა. ამ ფიქრებში რო იყო ვართული, ფოთლების შრიბლი მოქსმა. მოხუც გუგულს გამოეყო თავი და მას უუერებდა.



ბ უ გ უ ლ ი

— რათა ხარ მოწყენილი, ჰკითხა მოხუცმა, სომ არა გშიან, ეგებ გცივა?

— დედას დავექებ, უზას-უსა ახალგაზრდა.

მოხუცი გადაფრინდა ტოტზე ახალგაზრდასთან და ათვალეორებდა ცნობის მოუვარეობით.

— მე სომ არა ვარ დედა შენი. დღეს დილით დაგინახე აქ ბუჩქზე, დიდხანს გიუურე, გულმა მიტხრა, რომ ჩემი შვილი უნდა იყო.

— თუ ძნობდაც დედა ჩემი ხარ, შენ მე ბევრი ტანჯვა მომაყენე.

ახალგაზრდა გუგულმა უამბო ეოველისფერი.

— იქ დიდ ტყეშია ამბობ, ბუჩქებში... მაგონდება... შენ ჩემი შვილი ხარ—რამოდენა გამხდარხარ, რა ლამაზი ხარ.

დედას უნდოდა ალერსით ნისკარტი გადაესვა შვილისათვის, შვილი აფრთხილდა.

„ხელი არ მახლო, მე შენ არ მიუვარხარ, შენ საზისღარი ხარ“.

— დიდებულო ღმერთო, ვითომც ეს გუშინ იყო, რომ კვერცხით ნისკარტში დაფურინავდი და ბუდეს ვეძებდი. ისეთი ბუდე უნდა შენასა, სადაც კვერცხები ჩემ კვერცხს ემსავსებოდენ, თუ ასე არ მოვიქეცი ბუდის ჰატრონი მიმიხვდება და გადაძივდება კვერცხს. ბევრი ვიფრინე კვერცხით ნისკარტში, ისე დავიქანცე, რომ კინაღამ კვერცხი გამივარდა ძირს.

— ოხ, ნეტამც დაგვარდნოდა და გატყენილიყო, თქვა



ასაღვასდა გუგულმა, — ნეტავ დავლუპულიყავ, ამოდენა ტანჯვას შინც აღარ ვნასავდი, არ დაჟანგრავდი ჩემს სუვარელ დაძმებს, ჩემ გამხდელებს არ ვაგინებინებდი ჩემ ძმობელს დედას, ამოდენა ლანძღვას არ ავიტანდი.

დედამ სმა არ ამოიღო, მარტო შესედა თავის გაჯავრებულ შვილს.

— რატომ სხვა პატროსან ჩიტებსავით ბუდე არ გაიკეთე, შიგ არ ჩასდე კვერცხი, რატომ შენ თვითონ არ გამოძისარდე, რატომ, რისთვის?

დედამ ნაღვლიანათ გადააქნია თავი.

— ეველას ბედმა არგუნა რამე უბედურება, მეც ვერ გადავჩი ამ კანონს, გარწმუნებ, გუგულის ცხოვრება ტანჯვაა, და შენ თვითონ დარწმუნდები ამაში, როდესაც კვერცხის დადების დრო მოგიანლოვდება. წარმოიდგინე, მეც მიძნელდებოდა ისე მოქცევა, როგორც შე მოვიქეცი. მეც მიხდოდა გამეკეთებინა ბუდე, თვითონ გამოძისარდა ჩემი შვილი. ნუ თუ შენა გგონია, რომ ჩემთვის ადვილია ეოველ საფხულ კვერცხით ფრენა და სხვისი ბუდის ძებნა?

— მაშ რათა შვრები ძავას?

— სხვანაირათ ვერ მოვიქცევი — თქვა მოხუცმა გუგულმა, ამაში არის ჩვენი გვარის უბედურება. დაძმადე უური — შე მოგიეყები: რვა დღის განმომავლობაში შე მარტო ერთი კვერცხის დადება შემიძლია, პირველი კვერცხი ხომ გალავდება, სანამ შე მეორის



გ უ გ უ ლ ი

დადებანს მოვასწრებ და აი ამიტომ შეუძლებელია ჩემ-
თვის კვერცხებსე დაჯდომა და გამოჩეკა.

— განა არ შეგიძლია უფრო ძალე დასდო მეო-
რე კვერცხი? სხვა ჩიტები ამბობენ რომ შენ ზარმა-
ცი ხარ.

— არა, ამოიონრა მოხუცმა, მე თვითონაც მინ-
და, მაგრამ... თავს შევსწირამდი, რომ ბავშები ჩემთან
იყვენ, ეს ჩემთვის შეუძლებელია, ერთ და იმავე დროს
ჩემს სხეულში ერთი კვერცხის მეტი ვერ გაიზრდება,
თვითო კვერცხს კი რვა დღე უნდა რომ გაჩნდეს და
გაიზარდოს.

ახალგაზრდამ შესედა დედას, თითქოს არა სჯე-
როდა

— არა მჯერა, თქვა მან ბოლოს, ეს ძარტო
სიტყვებია, კაჭკაჭი შენზე ბევრათ ზატარას და ეველა
კვერცხებს კი ერთათ სდებს.

— მართალია, მიუგო დედა-გუგუღმა, რა ბედნიე-
რია კაჭკაჭი, მაგრამ კაჭკაჭი არ იკვებება იმ შხამი-
ან მატლებით, რომელსაც ჩვენ ვჭამთ. ეს მატლები
კი არ გვაძლობს ჩვენ, არა, ძარტო გვიტყუებს. რამ-
დენი უნდა შევჭამოთ, რომ გაგვიმსოს კუჭი და დრო-
ებით სიმშვილი მოგვიკლას. კუჭი დიდი გვაქვს და
კვერცხებისათვის თითქმის სრულებით არ რჩება ად-
გილი.

— ნუ თუ დასაჯერებელია? ჭკითსა ახალგაზრდამ.

— უნდა დამიჯერო, შვილო, ეს ასეა, თუძცა ძლი-



ერ მნელია გასაგონათ, მაგრამ უფრო მნელია იმი-
სათვის, ვინც თავის თავზე გამოსცადა ამ კანონის
ძალა.

— ტყვილათ გამტყუნებდი, შენი ბრალი არ ეო-
ფილა, თქვა რამოდენიმე ხნის შემდეგ ახალგაზდად,
მაპატიე, მე სასტიკათ მოგექეცი შენ. მაგრამ სხვა
ჩიტებმა რაა არ იციან რაშია საქმე?

დედამ შესედა და უთხრა:

— წუთი სოფელი აგრეს, იმეორებენ სხვის ნათ-
ქვამს, რაც არ ესმით, დეე, ნუ დაუშლი ლაპარაკს,
თუ კი ესინამოვნებათ, ან რათ უნდა დავუშალოთ,
უველამ თავისი იცის. ჩვენი მოვალეობა კი—გუგუ-
ლებისა იმაში მდგომარეობს, რომ შხამიანი და მავ-
ნებელი მატლები გავსწევიტოთ.

მზე ჩავიდა, ღამდებოდა... დედა და შვილი იქვე
ისხდენ ერთათ ტოტზე და ბანსობდენ. მერმე ორთა-
ვემ დაიძინეს. შვილს ესინამრებოდა, რომ კვერცხით
ნისკარტში დაფრინავდა და ბუდეს დაემებდა, სად ჩა-
ავდოს კვერცხი, დედა კი ხედავდა სინამარში: მეტი
კვერცხი აღარა ჭქონდა დასადები და აღარც შიში
ჭქონდა თავის შვილების ბედ-იღბალზე.

ა. ფ.





გამოცანები.

ცა ვსდრიკე, ვარსკვლავი ვკრიფე.

დავკეცე ფარის ოდენა,
 გავშალე ქვეყნის ოდენა.

ოთხი აშენებს, ერთი გარს უვლის.

(წარმოდგენილი კ. სენნიაშვილის მიერ).

შავი არსება შავ ქუდა,
 შავ ტყავა, ნაბადიანი,
 დღისით დასაველეთს გაჰყურებს
 დღე რომ დადგება მზიანი.

შუადღის ჟამსა ჩრდილოეთს
 საღამოს აღმოსაველეთსო,
 მზე რაკი ჩავა, ჩაქრება.
 ველარას ვხედავთ ასეთსო
 ადვილია, გამოიცნობთ
 თუ დაჰფიქრდებით მარჯვეთო.

ზმა.

(წარმ. მ. ლელაშვილის მიერ).

ვაქე თოფი ალაზანზე,
 რომ ისროლა ფიღომ ჩქარა,
 ვთქვი შალიკო, ნატვრა არი,
 გულში ოდნავ გამიარა.

ანაზრამა.

(მისგანვე წარმოდგენილი).

პირველი რჩება მღვრიე წყალს,
 შიგ ჩაიფლებს უწვრთელი,
 მეორე სიტყვა სწრაფია,
 სიჩქარით გამოუთქმელი.
 ორივეს ოთხი ასოთი
 დასწერავს მხოლოთ ქვეამთელი.

ზარადა

(მისგანვე წარმოდგენილი)

პირველსა იტყვის პატარა,
 როს დაინახავს ყმაწვილსა.
 მეორე უხმო ასოა
 შეადგენს თავის ნაწილსა.
 მესამე ნიშნავს უხარშავს
 თუნდ ზორცსა, თუნდა მწვანელსა.
 მთლათ—ზღვის პირისა ქალაქი,
 ხშირათ გვიგზავნის ჯანყ-ნისლსა.



გამოცანებისა: შველი, ობობა და ქსელი, ტომარა.

ბასართოზი

(ფრანგულით)

პატარა ვანომ პირველად ნახა ავტომობილი ქუჩაში რომ
 მისრიალებდა, გაოცებულმა დაიძახა:

— დახე, დახე, ფაიტონი თავის ცხენებს გაჰქცევია!

— მითო ხედავს, რომ იმისი პატარა და აწეწილს ძაფში რა-
 ლასაც ეძებს.

— რასა შვრები მანდ, კატო?

— ძაფის წვერს ვეძებ.

— ტყუილათ გარჯილხარ, ჩემო კატუნიავ, ამ დილას
 მოვქერი.

— დედამ დაინახა, რომ შექრო კიბის მოაჯარზე ჩამოცურ-
 და და გაუჯავრდა:

— მაგას რას ჩაღიხარო?

— დედა, ნუ ჯავრობ, საწყალ ბიჭებისთვის შარვალს
 ვამზადებო.

ნაკვენი

(ილია ჭავჭავაძის გამოთქმული)

ხმალი იმოდენს ვერას იქმს მრისხანე და ძლიერ.ო,
 რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო.



უნებლიეთი დანაშაული.

(საადღვრეო აზრები).



არამაჲ ქინქარაულის სამკერვალო გაჩაღებულ-
ლია. ხუთი ქარგალი ქალი, თითონ ოსტატი
მარიამი და ამისი თანაშემწე პელაგია გაფაცი-
ცებით მუშაობენ. თეთრ ზეწარ გადაფარებულ
მაგიდაზედ გაშლილი ალაგია ორი მშვენიერი
თეთრი კაბა; ერთი მოზრდილისათვის და მეო-
რე ყმაწვილი ქალისთვის. კაბები თითქმის გა-
თავებულაია, აკერებენ მხოლოდ დუგმებს, ჯიბეებს, ქოზის
გარშემო ტისმებს, არშიებს, ლენტებს... ჩამიჩუმი არ ისმის.
ყველანი ფეხზე სდგანან, უნდათ უკანასკნელ ნემსის ამოგდებ-
ბასთან შინისკენ გაფრინდნენ. აი მოისმა ზარის ხმა. მარიამმა
გადასცა თავისი საქმე პელაგიას და თითონ სასტუმრო ოთახ-
ში გაეშურა კაბების პატრონების მისაღებად.

შევირდებმა გაათავეს თავიანთი საქმე. ნევსი, ძაფი, სა-
კერავი მაშინები თავთავის ალაგას დააბინავეს და წელში გას-
წორდნენ.

— უჰ! რა რიგად დავიღალე, სთქვა ნატომ, თოთხმეტი
წლის ლამაზმა გოგონამ. წელი ისე გამტეხს, თითქო ქვა და-
ეკრას ვისმე ხერხემალზედ.

— აგერ შვიდი საათია. ქვეყანა ხვალინდელ დღისთვის
ემზადება. ყველა ლიტონიისთვის ეწყობა, ყველა ძველს თუ
ახალს ტანთსაცმელს იმზადებს ბრწყინვალე დღესასწაულის-

თვის და ჩვენ კი ისევ საკერავში წაგვიყვია თავები! უკმეხათ სთქვა ყველაზედ უფროსმა ქარგალმა დარომ. მაგას რომ ბევრი ფულის აკრეფა უნდოდეს, ჩვენი რა ბრალია! გუშინწინვე უნდა დავეთხოვეთ. ეს ორი დღე უსამართლოდ გვამუშავა.

— ერთი რაღაც უბრალო კისაიას „სარუბაშკე“ ვიყიდე და იმის ამოჩნლართვისთვისაც ვერ მოვიცალე, ამოოხვრით სთქვა ქეთომ—სადამოობით შინ რომ მივდივარ იმავე წამს თვალები საძილეთ მელულება, კლავები მიდუნდება და ლოგინში ვწვები მაშინვე. ჩემი ძმა ალექსი ამბობს: ქალები სწორედ მონები ხართო. ყველგან კაცებმა რვა საათის სამუშაო გაირიგეს და თქვენ კი ათს, თორმეტ საათს მუშაობთ და ახლანდელი დროის მოთხოვნილებისა არა გესმითრაო.

— განა მართალს არ ამბობს? აბა ერთხელ ჩვენც მაინც გამოგვეცხადებინა ი „ბოიკოტია“ რაღაცა! იქნება ჩვენც გვშველებოდა რამე, ისევ უკმეხად სთქვა დარომ.

— ჯა, მარტო ჩვენ ხომ არ გამოგვეცივით შარაზედ! თუ კი სხვანი ხმას არ იღებენ. ქალაქში, მე მგონია, ათი ათასი მკერვალი და მუშა ქალია. დარბაზსლად უბასუხა ქვრივმა პელაგიამ, რომელსაც სამი შვილი ჰყავდა სარჩენი და ამის გამო თავის სამუშაოს ძრიელ აფასებდა.

— დარო, დარო! შემოიტა კაბები. ფთხილად კი ასწიე. სასტუმრო ოთახიდან გამოსძახა მარიამმა და შეაწყვეტინა შეგირდებს უკმაყოფილო ლაპარაკი.

დარომ უგემურად ასწია კაბები და ციმციმით მალლა აწეულ ხელებით შეიტანა მეორე ოთახში, სადაც ნატალია გობჯინიძისა, დიდი ჩინოვნიკის ცოლი და მისი ქალი, თორმეტი წლის ლიზა, მოუთმენლად მოელოდნენ სააღდგომო კაბების ჩაბარებას.

— აი, ბატონო, ნახეთ რა მშვენიერებია, რა გემოვნებით არის მორთული! მართალია, დავაგვიანეთ, დროზედ ვერ ჩავაბარეთ, მაგრამ განა არ მოგეხსენებათ: სააღდგომოთ საქმე ბევრი გვაქვს, ყველას წინდაწინ უნდა, ყველა ძნელზედ ძნელ ფასონს ირჩევს და ჩვენც საქმე ერთი-ორად გვიძნელდება. ბოლიშის მოხდით ეუბნებოდა მარიამი ნატალიას.—აი ეს „ბუ-



ფები“ ლიზეტას კაბისა მთელი ორი დღე ასხეს ორმა უმფროსმა შევირდმა და სანამ მე არ მივეშველე, მაინც ვერ გაათავეს. გააგრძელა თავისი საქმის ჩვენება და ქება მარიამმა.

— რასაკვირველია, გასაკეთებელი ბევრი იყო, მაგრამ გასაკეთებელი და დამამშვენებელი რამ არა ყოფილიყო რა, მაშინ არც თქვენთან მოვიტანდი, მაღამ მარილ ცოტა არ იყოს გაწყრომით უპასუხა ნატალიამ.

— როგორ ფიქრობთ, საქირო არ არის ერთი კიდევ დავიზომოთ? იქნება ან განიერი, ან ვიწრო, ან გვერდელად იყვეს რამე?

— თუ ვნებავთ, დავიზომეთ, მე კი მგონია რომ ყველაფერი კარგად არის, უპასუხა დაღალულობით ძლივს ფეხხედ მდგომმა მკერვალმა.

— მაინც, სჯობს დარწმუნება. გიმნაზიის ეკლესიაში აუარებელი და სულ რჩეული საზოგადოება იქნება ლიტონიაზედ, ძრიელ ეცხელება, წამოსასხამების მოხსნა დაგვეკირდება და ცოტაც არის რომ ურიგოთ იყვეს რამე იმ გაჩაღებულ ეკლესიაში სუყველასთვის შესამჩნევი იქნება.

— ინებეთ, ჩაიცვით... გულნატკენად მიუგო მარიამმა და დაროს კაბები ჩამოართვა. ქალებმა ნელა-ნელა დაიწყეს კაბების გახდა და ახლები დაზომება.

შევირდები და პელაგია მოლოდინით მოთმინება დაკარგულნი კარებიდგან იქვრიტებოდნენ, სიბრაზით თითქმის ტიროდნენ.

— ღმერთო ჩემო, როდემდის უნდა ვისხდეთ აქ? სახლში ათასი საქმე გვაქვს, თითო-ორ-ორი მანათი რაც გვერგება იმისთვის არ გვინდა, რომ ხვალისთვის სახლში შევიტანოთ რამე!

ნატალია კი ნელა-ნელა გულმოდგინეთ შინჯავდა ჯერ თავის ქალის კაბას და მერე თავისას. სარკესთან წაღმა-უკულმა ტრიალებდა, კაბის წინ კალთას, საყელოს, ქამარს ხელს უსვამდა, ასწორებდა, ყოველ ფეხუნს დაშტერებით ნიშნავდა და მკერვალის ყურადღებას მიაქცევდა.

— ხედავთ, მარი, აქ ბანტი გვერდელათ აკერია? აი აქ



ლიზეტას საყელოს დუგმა იხსნება. უთუოთ, უნდა გადააკეთოთ, თორემ შეიძლება საყდარში გაესხნას. აი ჩემი ქამარიც ძრიელ ფართოა, უთუოთ უნდი დაავიწროოთ. აი ეს ფხეწნი უკან კალთაზედ უნდა გააუთოვოთ.

— ბატონო, ეხლა მაგეების შესწორება შეუძლებელია. აგერ შეიდი საათია და შევირდები სახლში მიეშურებიან. მეც ათასი საქმე მაქვს. არ დაიჯერებთ, დღეს სადილი არ მიჭამია, ჩაი არ...

— ნუკი გეწყინებათ, მადამ მარი, მაგრამ ეგეები მე სრულიად არ შემეხება. რაც გასაკეთებელია, უთუოთ უნდა გადააკეთოთ! სასტიკად და გადაჭრით წარმოსთქვა ნატალიამ.

დარომ მოთმინება დაჰკარგა, ქინძისთავეებით სავსე ლამბაქი მაგიდაზედ დააგდო, ოთახიდგან გიჟივით გავარდა და კარი გაიბრაახუნა.

— უზღელი გომბიო! შეჰყვირა ზიზლით ნატალიამ. არ იცის, რომ რიგიან ხალხთან კარის გაბრაახუნება სიბრყვეა?!

— დედაჯან, დღეს ასე იყოს, ქინძისთავეებით დავიბნიოთ როგორმე, მერე გადააკეთონ... მუდარით შეხედა ლიზეტამ დედას. ამათაც უნდათ სააღდგომოთ მოემზადნენ.

— ხრას გზით! მე ბელეშობა არაფერში არ მიყვარს, ყველაფერი რიგიანად უნდა იყვეს და საჩქაროდ დაიწყო ახალი კაბის გახდა და ლიზეტასაც გაახდევინა.—სულ რამდენიმე წუთის საქმეა, ინებეთ და გადააკეთეთ. ერთი საათის უკან ბიქს გამოვგზავნი ზეწრით, გაშლით ჩაალაგეთ რომ არ დაიქმუჭნოს. ბძანების კილოთი და მედგარის გადაწყვეტილებით სკამზედ დაალაგა კაბები ნატალიამ.

— მადამ მარი, თქვენი ნინუცა არ მოგიყვანიათ „ზავედენიიდან?“ დედის სისასტიკით შეწუხებულმა ლიზამ, სათნოებით და მორცხვით ჰკითხა მკერვალ ქალს და თვალეში ალერსიანად შეხედა.

— არა, გენაცვალე, მიუგო იმან.—ის მაგალობელთა გუნდშია და ამადამ ლიტონიაზედ იქ უნდა იგალობოს, ხვალ დილაზედ თუ მოვიყვან.

— მე მოსკოვიდგან რამდენიმე საჩუქარი მომივიდა ბიძი-



ასგან და აი ერთი ლამაზი ატლასის კვერცხი ნინუცას წამო-
ულე. ჩემ მაგიერათ გადაეცით ხვალ, მოკრძალებით დაუმატა
ლიზამ და პირისფერი ატლასის ვეებერთელა კვერცხი დადგა
მაგიდაზედ, მერე ხელი დააჭირა კვერცხის გვერდზედ გაკეთე-
ბულ ფოლაქს, მაშინვე კვერცხის ერთი გვერდი გაიღო და
შივ მშვენივრად გამოქანდაკებული ქრისტეს საფლავი გამო-
ჩნდა და თვით ქრისტე საფლავიდგან აღმდგარი წითელის ბი-
რალით ხელში.

— რა მშვენიერებაა! შეჰყვირა მარიამმა და ბავშვი ტკბი-
ლად გადაჰკოცნა. — როგორ გაეხარდება ნიცას, რა მადრიე-
ლი დარჩება...

— აი ფულიც კაბების შესაკერი, დაუმატა ნატალიამ,
ხუთი ხომ წინად მოგეცით და აი ეს თუმანიც. ნუ გეწყინე-
ბა, ჩემო მარი, რომ მე ცოტაოდენი სასტიკი ვარ. ხომ მიც-
ნობ, ახალი მუშტარი არა ვარ თქვენი. „აკურატნობა“ მიყ-
ვარს და მეც აკურატნი ვარ. მშვიდობით. ღმერთმა ბედნიერი
აღდგომა გაგიტენოს. თქვენ პატარა ნუცას ჩემ მაგივრად აყო-
ცეთ.

მარიამი კარებამდინ მიჰყვა ქალებს, მერე დაღონებულმა
და დაღალულმა ატლასის კვერცხი ხატის რაფაზედ შესდგა,
კაბები მალლა ასწია და ისევ სამკერვალოში გაიტანა.

— პელაგია, გენაცვალე ეს ღუგუმები გადააკერე, აი იმ
ადგილებზედ, სადაც ქინძისთავეებია დაბნეული.

— რას მიბძანებ, მარიამ! აგერ შვიდი საათია. ბავშვები
მარტონი მიყრიან. ხვალისთვის ჯერ არაფერი მამიმზადებია...

— ვის გაუგონია შაბათს საღამოს შვიდ საათამდინ მუ-
შების დაკავება და მერე აღდგომის შაბათს! ღმერთი არა გაქვთ
თქვენა? შეჰყვირა ამაყმა დარომ.

— ჩვენ აღდგომის შემდეგ ახალ პირობას წარმოგიდ-
გენტ, რვა საათის სამუშაოს შესახებ და თუ არ დასთანხმდე-
ბით...

— ღმერთო ჩემო, რეებს ამბობთ! რა დაგემართათ, რა-
ზედ გადაირივენით! ხომ ხედავთ მე თითონ ფეხზედ ძლივს
ვდგევარ, ხომ ხედავთ რა უღვთონი არიან კაბის პატრონები!



ერთ საქმეს ათჯერ გვიბრუნებენ დასარღვევით, გადსაკეთებლათ, აბა რა ვუყო?

— ეგ ჩვენი საქმე არ არის! ჩვენ ეხლა შეგირდები ხომ აღარა ვართ, დღიური მუშები ვართ და როგორც მუშები ისე უნდა დაგვაკმაყოფილო, გადაწყვეტილ დროზედ.

— მაშ ეგრე?! „ბუნტობთ“? თქვენც მლალატობთ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ! მისუსტებულის ხმით წარმოსთქვა მარიამმა და დაღლილობისაგან მოშლასლი ძარღვები ველარ შეიმაგრა და ტირილი დაიწყო.

ექ. გაბაშვილისა.

(დასასრული შემდგებ)



როგორ გაჩნდა ღვინო.

ლეგენდა.

(გაგონილი ჯავახეთში ილ. ალბაზიშვილისაგან).



ნოემ აშენა ვენახი,
ღვინო ვერ დააყენაო,
დალონებულსა ნოესა,
ემმაკი მოეჩვენაო.

*

— „ნოევ, ვერ გიქებ ბაგასა,
შენ ვერ ახარებ რქასაო,
თუ ამხანაგად გამიხდი
გასწავლი ვაზის რგვასაო“...

*

„ისეთი ღვინო დაგიდგეს,
კაცი ებრძოდეს დევსაო,
მთელი ღუნია გაქებდეს,
ვინც სვამდეს ყურძნის წვენსაო“.

*

— „წყველიმც იყოს სატანავ,
ყოველი საქმე შენია...
კაცის ვალია იზრომოს,
ბედი ღვთისაგან სწერია“.

*

..გაჯიბრებულმა ნოემა,
უფრო უმატა შრომასა—
მაინც ვერ გასხლა ვენახი,
ვერ გადაუჩია გოლვასა.

*

შეფიქრდა ნოე, შეფიქრდა,
ჯავრით ვერც მიდის შინაო,
გაბეზრებულსა ნოესა,
ეშმაკი უდგას წინაო.

*

— „ნოევ!... ნუ კი ხარ ჯიუტი,
ხერხი სჯობია ლონესო“
თილისმა ვიცი მისთანა,
კაცი ვერ მოიგონებსო.

*

ნოე გადუდგა ღვთის მცნებას,
სატანამ შეაცდინაო...
ადგა და ძმობა შეჰფიცა,
პირ-სახემ გაუცინაო.

*

გაჰყვა ეშმაკი ვენახში,
ასწავლის თილისმობასა,
ნოეც ადვილად მიუხვდა
ოსტატსა ჯადოსნობასა...

*

პირველად მთელსა ვენახსა
მიუშვა ბლომა წყაფა,
ფესვები ვაზსა დაუღბო,
მთლად გაუწითლა რქანია.

*

მერმედ ბატკანი დაუკლა,
სისხლი ასხურა კვირტებსა,
ვაზმა ფოთოლი დაისხა,
ტურფად ამშვენებს ტოტებსა.

*

ნოე იხარის გულითა—
„ახლა ვეწიე ბედსაო,
ჯერ თუ არ მოვკვდი, კვლავ ჩავყრი,
დავწიღნი ახალშენსაო.

*



როგორ გაჩნდა ღვინო

ადგა და დაკლა ბუფბუფი,
სისხლი აწვეთა ყვავილსა;
ფურჩქენილმა ვაზის რტოებმა,
უფრო უმატეს ქადილსა.

*

მზგეერი დაკლა, მოურწყო,
ვაზს ძირი სისხლით ცხელითა;
ღერო რო ველარ დგებოდა,
სარზე მიაკრა წკნელითა.

*

შემდეგ დაუკლა ღამ-გეუფხი,
სისხლი ასხურა ისვრიმსა;
ვენახში თვალი შევიდა,
მტევანი ფერსა იცვლისა.

*

მზე-წვიმით ნაზად ნაზარდი,
ქარვებ პრიალებს მარცვალი,
შეჭხარის ნოე ნაშრომსა
ვერც გული ძღება, ვერც თვალი.

*

მაიმუნზე ჯერი მიდგა,
ამოულო მკერდით გული,
სისხლი აწურა კუფხალსა *)
ახლა კია რთველი სრული.

*

გათაედა ჯადო-თილისმა,
ნოე ამზადებს ჭურებსო,
სატანამ ყურში ჩასძახა:
— „ნუ დაივიწყებ ღორებსო“!

*

ქვეყანა ხარობს ზაფხულით,
მას მოსდევს შემოდგომაო,

*) კიმელა.

ნოემ დაწურა ყურძენი,
 ტკბილს უნდა ქვევრში დგომაო.

*

არ დაიფიწყა ღორები,
 მათ სისხლით მორწყო მარანი,
 კარსა ურდული წაუგდო,
 ეშმაკსა მისცა სალამი.

*

ნოემ იცადა, ითმინა,
 გულმა ვერ მოუსვენაო;
 აჰხადა ქვევრსა სარქველი
 და ყელი მოუღერაო.

*

პირს ეცა სუნი საამო,
 მაქარი მოეწონაო,
 ნაამაგდარევ ნოესა,
 ჯერ გულზე მოეფონაო.

*

მერმე თავსა ბრუ დაესხა,
 უხამსი იწყო ქცევაო,
 სავარძელს ძლივს-ლა მიეგდო,
 ტანი არ დააყენაო.

*

შიშველსა, მთვრალსა ნოესა,
 ქამი დასცინის წუნობსო—
 — „ეს რა მოსვლია მამაჩემს
 რას ნეტავ მაიმუნობსო“?!...
 *
 „ეშმაკსა სული მიჰყიდა,
 ახლა რაღასა ღონობსო,
 ისწავლა რაღაც ღვინის სმა,
 კოტრიალობს და ღორობსო.
 *
 იაფეტს შერცხვა, გაბრუნდა,
 თვალზედ იფარებს ხელსაო,



ყველაფერს ღვინოს აბრალებს,
ი რაღაც თილისმასაო.

*

— „დალოცოს ღმერთმა ცის ცვარი,
რა შეედრება წყალსაო,
სულსა და გულსა გიხარებს,
არც მოგჭრის ხალხში თაფსაო“.

*

მას აქეთ საქართველოში,
ვაზიც გახშირდა, სმაცაო,
მას აქეთ ღვინოს თან დაჰყვა,
წყვეული თილისმაცაო.

*

ჯერა ვსვამთ ღვინოს წყაღივით,
თანდათან გვიტკბილდებოა,
მერე მოვდივართ ქეიფზე
და გულიც გვიჩვილდებოა.

*

მაშინ კრაფივით მშვიდნი ვართ,
ყველას უცხადებთ ძმობასა,
ღვთიური სიყვარულითა,
ბოლო ეღება მტრობასა.

*

ტკბილად მოვყვებით ჭიკჭიკსა,
საამოდ, ბუფბუფივითა,
ენა და ჭკუაც მაშინ სჭრის,
მაშინა ვხარობთ გულითა.

*

ვაი მას, ვინცა აჭარბებს;
შფოთავს და ჭირვეულდება,
კურატის მზვერს ემსგავსის,
სუყველას უავგულდება.

*

ამასაც როდი აკმარებს,
უფრო უმატებს ღვინოსა,

ღმერთი და რჯული სადღაა,
 იეიწყებს წმიდა ნინოა.

*

ღომ-ვეფხსად გადაქცეული,
 იბრძვის ეშმაკის სულია,
 სწორებზედ იწევს ხანჯლითა,
 ძმა ძმისა მარად მკვლელია.

*

ჯოჯობეთს კარი გაეღო,
 ცეცხლიც იფრქვევა გეხია,
 ბეწვის-ხიდს ვერღავინ გაღის,
 ეშმაკის კერძი ბევრია.

*

ცოდვილთა სული ტანჯული,
 კუპრის ქვაბს ვერ დაღწევია,
 კენიც გახარებულა,
 დახე რა ბედსა სწევია!...

*

ბევრს ვხედავთ ღვინით გაქლენთილს,
 უხამსა მაიმუნ მსგავსსა,
 ვნებათა ღელვით აღგზნებულს,
 წუწკს—არშიყს, პირუტყვს უმსგავსსა.

*

ღაღივით წუმპეს ნავდებიც,
 ბევრი გვინახავს მთვრალია,
 გულის საზიდით მოსვრილი,
 თავით ფეხამდის მყრალია.

*

ნეტარ მას ვინცა ბულბულსა,
 არ გასცდეს, მოიღბინოსა,
 კარგი სჭამოს და კარგი სვას,
 მიწვეს და მიიძინოსა.

ჯიუტი თხა

მამინ-სიბირაკისა

III



დურგლის საქმე თანდათან უკან მიდიოდა. კარგათ ხელავდა თავის მდგომარეობას, მაგრამ ვერაფერი ვერ მოეხერხებინა. უწინ მარტო საღამოობით გადიოდა სახლიდამ, ეხლა მთელი დღეები საღლაც იკარგებოდა, ცარიელ სახლში შემოსვლა ეზარებოდა. სახლის გასათბობათ რომ შეეშა შემოაკლდა, ჯერ ბეღელი დასწვა, მერე საჯინიბე, მერე ღობე და ბოლოს ალაყაფის კარები. ქოხი შარაზე დარჩა.

— რა უყოთ, კიბის ქვეშ მოვთავსდები, — იძახდა თხა. — მურია, ჩვენ ცოტა ვიწროთ ვიქნებით. არა უშავსრა, უფრო ეთბილება.

მურია ხმას არ იღებდა. რა უშავს, რომ მეგობრისთვის ცოტათი კიდევ შევიწროვდეს. მამალიც სახურავ ქვეშ მოთავსდა. არაფერია, ცხოვრება კიდევ შეიძლება, პატრონმა რომ ხანდისხან თითო მუჭა ქერი მაინც გადმოუყაროს. ზოგჯერ საღამოობით ყველანი ერთად თავს მოიყრიდნენ და თავიანთ საქმეებზე მსჯელობდნენ.

— რძეზე გემრიელი არა არისრა, იძახდა კიბეზე დასკუპული ციცუნია.

— რძე რა საკადრისია, მაგალითად ერთი მუჭა ქერი ან საკენკი ყველასა სჯობია, — ედავებოდა მამალი.

— ყველანი სისულელეს ლაპარაკობთ, — არწმუნებდა მუ-

რია. — ყველაზე გემრიელი და კარგი ძვლებია... რამდენი ჩემ სიცოცხლეში მე ძვლები მიხრავს, იმათი გემო კი ღვთის წყალობაა ვიცი! დიად.

— თიფაც სწორეთ კარგია, — ჩაუბრუნა თავისი სიტყვა თხამ. — როდესაც ძროხა, ცხენი იყვნენ — თიფა თავსაყრელად მქონდა. — ლამიანად ავდგებოდი ხოლმე და ვქამდი... თქვენ სულელები ხართ, აბა, კარგი თივის გემო, რა იცით.

უწინ თავიანთ პატრონზე ლაპარაკობდნენ და ჯავრობდნენ ხოლმე, ეხლა კი რაღა ეთქვათ იმაზე, როდესაც ის სახლში ბრუნდებოდა, ყველანი ერიდებოდნენ. ღურგალი გაჯავრებული და მთვრალი მოდიოდა, ცდილობდნენ კიდევ, არ შეხვედროდნენ.

დილით, სიმთვრალის შემდეგ, ღურგალი რომ გამოიღვიძებდა, უფრო ცუდ გუნებაზე იყო ხოლმე. ერთხელ საწყალ მურიას კინალამ ქვით ფეხები მოამტვრია. მუდამ მორჩილი და მოსიყვარულე ძალი ისე გაბრაზდა, რომ დაუღრინა პატრონს.

— ხუმრობა კი არ არის, მაგრე შეიძლება კიდევ მომკლა, — ბუტბუტებდა მურია. — გაგიყდი თუ რა დაგემართა!

— შენ კიდევ ლაპარაკს მიბედავ!.. თქვენი დანახვაც მეზიზღება! უთქვენოთაც თავი მაქვს მობეზრებული.

— შენ რა ბრაღია... რატომ ხარმაცობ და არ მუშაობ? რატომ ითვრები?

— შენ უნდა მე მასწავლო? შუაში გაგხლიჩავ... უთქვენოთაც კარგათ ვიცი, რასაც ვჩავდივარ.

თავის სიმართლის დასამტკიცებლათ ღურგალმა დიდ კეტს ხელი წამოაწვლო და ძაღლს ესროლა, საწყალმა მურიამ გაქცევა ძლივს მოასწრო.

— მე თქვენ გიჩვენებთ რა კაციცა ვარ! — ყვიროდა ღურგალი. — არა ვმუშაობ, ვთვრები, რა თქვენი საქმეა.

ღურგალი გაჯავრებული შარა ეზოში დადიოდა, ვიღასაც ლანძღავდა და მუშტებით ემუქრებოდა. — ყველა დამნაშავეა, ყველა იმის მტერია, მარტო თითონ არის მართალი და ჭკვიანი.



მეორეჯერ თავის ტკივილით გამოედევინა ღურგალს. უცებ მამლის ყივილი გაიგონა, ძალიან ეწყინა, რომ თავი სტკივა და მამალი კი გიჟივით ყივის. რა საჭიროა რომ სულელი ფრინველი ასე გაჰყივის. ღურგალს უცებ ჰაზრმა გაუელვა თავში, სადღაც ხმელი პურის ქერქი იპოვნა, დაფშენიდა და გარეთ გამოვიდა.

— გამარჯობა, ბატონო!

— გაგიმარჯოს! გინდა ცოტა პურის ნამცეცი აკენკო? მოდი ჩემთან. მამალმა თავი გვერდზე გადინჩიქა, ჯერ ნამცეცებს შეხედა, მერე პატრონს და უპასუხა:

— ვინა ვგონივარ? იმდენათ სულელი არა ვარ, რომ რამდენიმე ხმელი ნამცეცისათვის მოგიახლოვდე, დამიჭირო და შემწვა... არა, ძმაო, ვერ მომატყუებ!

— მოდი, ნუ გეშინიან, ვიმუსაიფოთ.

— არ შემეჭამ?

— არ შეგეჭამ...

— არა, შემეჭამ.

— მაშ კარგი. რაკი შენ არ მოდიხარ, მე თითონ მოვალ შენთან! ღურგალი ძალიან გაუწყრა სულელ მამალს, ქვა აიღო და გამოეკიდა. მამალს ძალიან შეეშინდა, ფრთები გაშალა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაჰკივლა:

— მიშველეთ, მომკლეს... საწყალი მამალი მოჰკლეს! მიშველეთ, ქრისტიანი ვინა ხართ, მიშველეთ!

დიდხანს სდევნიდა ღურგალი მამალს, ვერა გააწყორა, ქვებიც პევრი ესროლა, მაგრამ მამალი მარჯვედ იყო და თავს იმით უშველა, რომ ქოხის ვარშემო დარბოდა და იმალებოდა. თხა და მურია უყურებდნენ, მაგრამ მამალს არ გამოეკიდნენ, როგორც უწინ იცოდენ ჩხუბის დროს.

ახლა სხვა დრო იყო. ბოლოს ღურგალი დაიქანცა, ძალა გამოეღია და კიბეზე ჩამოჯდა, თავში ხელეები იტაცა და მოჰყვა ტირილს. გაჯავრებული, გულნატკენი მამალი შორი-ახლოს დადგა და ელოდა რითი გათავდება საქმე.

— მე რომ საჯინიბე მქონოდა, მამალს შიგ შევადგებდი და ველარსად გამექცეოდა, ტიროდა ღურგალი და თავს აქ-

ნევდა. — რა უბედური ვარ, მამალიც კი არ მემორჩილება.

— მურია შესჯამე, უფრო გემრიელი იქნება, უყვიროდა მამალი და თავის აწეწილ ბუმბულს და ფრთებს ისწორებდა. — მე ერთად-ერთი ფრინველია დაგრჩი. — აი ბედურები და მტრედები გაგექცენ, მე კი დავრჩი. — მეცოდები, ბატონო, ძველი სიკეთე აღარ გახსოვს! უთუოდ დაგავიწყდა, თუ რამდენი ხანია მე შენ გულმოდგინეთ და სიმართლით გემსახურები.

თხა შუა ეზოში იდგა, დასცქეროდა მიწას და ჩუმად პატრონზე ჯავრობდა: რა დიდი ხანია მას აქეთ, რაც პატრონი ჩხუბისთვის მამალთან უწყობოდა და არცხვენდა მას, ეხლა კი თითონ რას ჩადის? კაი მოუვა კარგ ჭკუაზე ეგ არის.

— იყავი აგრე მარტო, ფიქრობდა თხა. — მე შენ არამცდა-არამც არ შოგეკარები!... დღეს ამ მამლის შექმა გინდოდა. ხვალ... ამაზე საზიზღრობა რაღა იქნება.

ღურგალი მარტო მურიას შეეცოდა. კეთილ ძაღლს თავისი წყენა დაავიწყდა, კიბეს შემოუარა და პატრონთან მივიდა:

— კარგი, გეყოფა მაგდენი ტირილი... გაწყენს.

— ვინ მელაპარაკება? შენა ხარ, მურია?...

ძაღლმა კალთაში თავი ჩაუდო, ღურგალმა ხელები მოხვია და ცხარე ცრემლები გადმოდგარა ჭკვიან ძაღლის თავზე.

— ოჰ, მურია! მარტო შენღა დამრჩი ერთად-ერთი მეგობარი, დიად, ერთად-ერთი... გახსოვს, როგორ კარგად ვცხოვრობდით?

— როგორ არ მახსოვს, ყველაფერი ბლომად გვექონდა... რამდენი ძვლები მერგებოდა ხოლმე, ეხლა ძვლის სუნიც კი დამავიწყდა.

— შენ, შენ ძვლებსა სჩივი, მურიავე, მე კი დავეცი, ვიღუპები... ზარმაცი, მთვრალი... რიგიანი აღამიანი პირს მარიდებს. განა ამისთანა ვიყავი? მწუხარებამ დამღუპა.

— მომწყინდა, იმეორებდა ღურგალი და ძაღლს ეალერსებოდა. — თითქოს სულ სხვა ვარ, მე ჩემ თავს ვეღარა ვცნობ.

მურიას პატრონი შეეცოდა, დაიღმუა და კუდი გააქნია.

ეკ. მესხისა.

(დასასრული შემდეგ)

მანქანა მეფეა

და

ზრომა—ფული.



კინის კაცმა ვერ გაანთავისუფლა მუშაობისაგან ხალხი. არა თუ არ გაანთავისუფლა, არამედ მანქანის შემოდების შემდეგ იძულებულნი გახდნენ დაეწყოთ ქარხნებში მუშაობა ისეთ პირებს, რომელნიც მანამდის არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ მრეწველობაში. ქარხნის პატრონს ესაჭიროებოდა ბევრი მუშა ხელი ვეებერთელა ქარხნისათვის, მას უნდოდა მეტი მოგება დარჩენოდა და ამიტომ იაფ მუშა ხელს დაეძებდა. მანქანაც ამას შეელოდა: მანქანა ყოველისთვის ასრულებდა და ისეთ ადვილ სამუშევარს უტოვებდა ადამიანს, რომ მის ასრულებას არც დიდი ძალ-ღონე უნდოდა, არც ხელობა იყო საჭირო. პატრონმა მიუყენა მანქანას ქალები და ბავშვები, რომელნიც სჯერდებოდნენ მცირე ხელ-ფასს—ასეთ ხელ-ფასზე არასოდეს არ დათანხმდებოდა მუშა-მამაკაცი, ეს უკანასკნელი იყო ოჯახის მრჩენელი და რასაკვირველია რომ თავის მუშაობას უფრო მეტად აფასებდა.

პირველ ხანებში მუშები წინააღმდეგი იყვნენ ქალების და ბავშვების ქარხნებში მუშაობისა. კაცებმა იცოდნენ რა რიგ სასტიკია პატარა ბავშვების ქარხანაში მუშაობა, სადაც ჰაერი გაფუჭებულია ათას სხვა და სხვა მიზეზების გამო. ქალებისთვის კი იქ მუშაობა ბუნების წინამდევით მიაჩნდათ, იმიტომ რომ ქალი არასოდეს არ შორდებოდა თავის ოჯახს, კერას, და სასირცხვო იყო ქალისათვის ქარხანაში მუშაობა.



მაგრამ რა ექნათ? სიმშლილი უფრო საშიში იყო, ვიდრე სხვა რამე და მუშებმაც გაგზავნეს თავის ცოლ-შვილი იმ ქარხნებში, რომელნიც ეზიზღებოდათ ჭირივით.

XVIII საუკუნის ბოლოში გაჭირვებამ აიძულა ქალები ათასობით და ათი ათასობით წასულიყვნენ ქარხნებში. „ოჯახი ირღვევა ამის გამო, ამბობს ერთი ინგლისელი მწერალი. ქალებს და ბავშვებსაც აღარ უყვართ ოჯახი. ქალმა არ იცის აღარც ქსოვა. აღარც კერვა, ქალს არ ესმის რა არი კარგი დიასახლისობა, და პატიოსანი ოჯახის დედის მოვალეობა. უწინდელ დროის მონობაში არ იყო ის, რასაც ახლა ვხედავთ ქარხანაში. სიცხეში და აუტანელ ჰაერში, მანქანების ხმაურობაში, ხუთი წლის ბავშვები მუშაობდნენ დილიდან საღამომდე, ხშირათ ღამეც, თექვსმეტი საათის განმავლობაში. რომ არ გაპარულიყვნენ ქარხნიდან ერთმანეთს მიაბამდნენ ჯაჭვებით, ბავშვები ვერ სძლებდნენ, ვერ იტანდნენ, ბევრი კვდებოდნენ, ზოგნი თავს იკლავდნენ, ზოგნი რჩებოდნენ სამუდამოდ დამახინჯებულნი.

ასე იფიქრებდით, სწერს ერთი კაცი, რომ XIX საუკუნის პირველ წლებში, საშინელება კაცი-ჭამიამ გადუარა თავს ინგლისს. მან აირჩია მსხვერპლათ პაწიები თავისი წვრილი თითებით. „აქ ადამიანის ხორცის სუნია“ ყვიროდა იგი გაბოროტებული და ათასობით სდევნიდა ქარხნებში ბავშვებს.

ასე ძლიერი იყო ქარხნის გავლენა ინგლისელ ხალხზე.

ქარხანამ ხელოვნობა სულ დაამცირა, ხელოვნობის მაგიერ გამეფდა მრეწველობის სხვა და სხვა დარგები. ქარხანამ გაყო საზოგადოება ორ ჯგუფათ, ერთი მხრით იყვნენ-ვისაც შეეძლო გამხდარიყო ქარხნის პატრონი, მეორე მხრით-ვინც აქირავებდა თავის „ხელებს“ მანქანამ სამაგალითოთ გაამრავლა ქარხნები და მოფინა იმითი მთელი ინგლისი, გამოდენა სოფლებიდან ხალხი და მიამწყვდია ისინი ქალაქებში. ეს არ იქმარა ქარხანამ. ოჯახშიაც შევიდა და გამოიყვანა სემუშაოთ-დედა-შვილი და ამითი დაარღვია ოჯახის ერთიანობა.

ნუ გგონიათ, რომ მარტო ინგლისში მოახდინა მანქანამ რაც ჩვენ ზემოთ ავწერეთ. არა, ყველგან მის გამეფებას ასე-



თივე შედეგი მოჰყვა. რუსი დამრთავი, ან ლურსმნების გამკეთებელი ისევე ებრძოდა მანქანის ძალას, როგორც ინგლისელი მუშა. მანქანის შემოღებამ მრეწველობა გაანვითარა. ის სიმდიდრე, რომელსაც აძლევს ახლა მთელი რუსეთის ქარხნები გაცილებით უფრო მეტია იმ სიმდიდრეზე, რომელსაც შესძენს სახელმწიფოს რუსის მიწის მუშის ხეჯით ნამუშევარი. როგორც ინგლისში, ისე რუსეთში ახალმა მრეწველობამ მუშა ხალხს მიატოვებინა სოფლები და ქალაქში განდევნა. ქალაქი ლოდზი, ერთი იმ ქალაქთაგანია, სადაც მოთავსებულია ათასობით ქარხნები და ფაბრიკები, 1820 წელს ეს ქალაქი შეიცავდა მხოლოდ 800 მცხოვრებელს. ახლა კი იქ ცხოვრობს 320,000 კაცი. ახლანდელ დროში რუსეთში ყოველ რვა მცხოვრებლებზე ერთი ქალაქის მცხოვრებელია. უწინ კი ერთი ქალაქის მცხოვრებელი აირჩეოდა 14 სოფელში.

რუსეთში მოიპოვება ისეთი გუბერნიები, სადაც ნახევარი მცხოვრებლები ქალაქებში ცხოვრობენ. მაგალითად: მოსკოვის გუბერნიაში ათასობით მიდის ხალხი სამუშაოთ ქარხნებში. მოსკოვის გუბერნიის ქარხნებში მომუშავეთა რიცხვი უდრის მიწის მომუშავეთა რიცხვს. ამასვე ვხედავთ პეტერბურგის გუბერნიაში. უწინდელ დროში უცხოთ მოსულს მოსკოვში გააკვირვებდა საყდრები, ყველგან ბრწყინავდენ ჯვრები გუმბათებზე, ახლა კი საყდრის კარებთან ერთად ამართულია საკვამლეები ქარხნების და ფაბრიკებისა. მძლავრი და წკრიალი მშენებელი ხმა საყდრების ზარებისა აღარ აღის ზეცისაკენ, — ამბობს ერთი მწერალი, მაგრამ უფრო მძლავრათ გაისმის მთელ ქალაქში დღეში რამოდენჯერმე ბოხი და მოსაწყენი ხმა ფაბრიკების ბუკისა, რომელიც ხალხს იწვევს მძივე სამუშევარზე. ოქროს გუმბათებიანი მოსკოვი სადღა არის — მის ადგილზე ახლა ქარხნები და ფაბრიკებია. აღარც მონასტრების ბერები სადმე ჩანან. მუშების ბრბოში ხშირათ დაინახავთ ქალებს და ბავშვებს. ამათი მუშაობა ძლიერ გავრცელებულია ამ უკანასკნელ დროში რუსეთის ქარხნებში.

სად არ გავრცელდა მანქანა! შორეულ აღმოსავლეთშიაც კი ამოყო თავი, იმ ქვეყანაშიაც, რომელზედაც ცნობილ-

მა პროექტმა თქვა: „იქ ხალხს აგერ ცხრაასი წელიწადია სძინავს მაგარი ძილით“ აი იქაც კი გამეფდა მანქანა. დახელოვნებული დამრთავი ინდოელი, რომლის მუშაობას განცვიფრებაში მოჰყავდა რომაელთა და ბერძენთა მოგზაური, იძულებული გახდა მიეტოვებინა თავისი ხელობა, როდესაც 1830 წლებში ინგლისელმა მექარხნეებმა მოფინეს მთელი ინდოეთი ბამბის მრთავი ქარხნებით. ბევრი ხელოსანი დაიღუპა მაშინ, რადგანაც მათ ვერ მოახერხეს ახალ მრეწველობაში მოთავსებულიყვნენ. იმ დროის გუბერნატორმა (ინდოეთი იმ დროს უკვე ეკუთვნოდა ინგლისს) აცნობა თავის სახელმწიფოს ის უბედურება, რომელიც დატრიალდა ინდოეთში და რომლის მსგავსი მაგალითი ჯერ არ ყოფილა ისტორიაში; ინდოეთის ველები მოფენილი არიან მუშების და ხელოსნების ძვლებით.

თვით ჩინეთი, რომელსაც ყოველისფერი ახალი სძულს, თვით ჩინეთი დაემორჩილა ახალ ბატონს და ახლა ზოგიერთ ჩინეთის ქალაქებში ნახავთ ქარხნებს. რა თქმა უნდა, რომ შრომის მოყვარე იაპონელებმაც ისარგებლეს ახლათ შემოღებული მანქანით. 1900 წ. იაპონიაში იყო 2400 ქარხნები, რომელნიც მუშაობაში უდრიდენ 2,300,000 კაცის ძალას. ოცი წლის წინეთ ქალაქი ოსაკა იყო თითქმის ყველასათვის უცნობი დაბა. ახლა კი იქ ცხოვრობს ნახევარ მილიონამდე მცხოვრებლები და მისი ქარხნების საბოლოები შორიდან ტყეს მოგაგონებს. იაპონელი მექარხნეები გზავნიან თავიანთ ქარხნების ნაწარმოებს ყველგან და ევროპიელ მექარხნეებს გზას უჭრიან.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მანქანა მფლობელობს იმ ქვეყანაში, სადაც „თეთრები“ ცხოვრობენ ატლანტიურ ოკეანეს ორივე მხარეზე. მრეწველობა დიდის ნაბიჯით წინ წავიდა ჩრდილოეთ ამერიკაში... ნიუ-იორკის შტატი თავის ქარხნებში ამზადებს საქონელს წელიწადში ღირებულს 2 მილიარდზე მეტს, როდესაც მთელ რუსეთის ნაწარმოები უდრის წელიწადში 2 მილიარდ ნახევარს.

ამერიკაში, ქალაქ ჩიკაგოს მახლობლათ, იმყოფება პულმანის ქარხნები—ანუ პულმანის ქალაქი. იქ ყოველ წლივ მზად-

დება ორასი უზარმაზარი პულმანის ვაგონი, რომელიც გა-
აქვთ ევროპის სხ. და სხ. სახელმწიფოებში, და 10000 მეტი
საქონლისა. „სიკვდილის ქარხნები“ რომელიც ჩვენ უკვე მო-
ვიხსენიეთ წარმოადგენენ, როგორც ამბობს ერთი რუსი მგზავ-
რი, „ქალაქს, სადაც ხალხის მაგიერ ცხოვრობენ ხარები,
ცხვრები, ღორები და სხვა... ამ ქალაქის ფარეხებში თავშე-
საფარს პოულობენ ოცდა ათი ათასი ხარი, ორი ათასი ღო-
რი, ოცდა ათი ათასი ცხვარი და ხუთი ათასი ცხენი. მარტო
სამი ათასი კაცი მეფხოვენი არიან ამ ქალაქში. ამათთვის და
სხვა მოსამსახურეებისათვის იქ არის საყდარი, სკოლები, ფოს-
ტა, და თავისი საკუთარი გაზეთიც კი გამოდის. დიდი ხანი არ
არის მას შემდეგ, რაც ამერიკელები მდიდრები იყვენ თავისი
დაუმუშავებელი მასალით; მათი ბამბა იგზავნებოდა ინგლისის
ქარხნებში და იქიდან ბრუნდებოდა უკვე დამუშავებული. ახ-
ლა კი ამერიკის ქარხნები იმოდენა მასალას ამზადებენ, რომ
უცხოელებსაც კი უგზავნიან თავის ზედ-მეტს. გამოანგარიშე-
ბულია რომ „რკინის კაცის“ ძალა, რომელიც იხარჯება ამე-
რიკაში. ოცდა-ათჯერ მეტია, ვიდრე ძალა იქ მომუშავე ხალ-
ხისა. ყოველ დღე მატულობს რიცხვი „რკინის კაცებისა“,
ეს უკანასკნელნი ამერიკაში მეტად მუყაითად მუშაობენ. ამას-
თანავე საოცარ სისწრაფით იზრდებიან ქალაქები და სადაც
უწინ პლანტაციები იყო, ახლა ყოველ ნაბიჯზე ნახავთ ქარ-
ხნებს. იმ შტატებში, სადაც გავრცელებულია ძლიერ მრეწვე-
ლობა, თითქმის ორი მესამედი მცხოვრებთა რიცხვი—ცხოვ-
რობს ქალაქებში. ასი წლის წინეთ არც ერთს ამერიკელ ქა-
ლაქში არ იყო ასი ათას მცხოვრებლებზე მეტი, ახლა კი ასე-
თი ქალაქები ბევრი მოიპოვება. ევროპაში მრეწველობის გან-
ვითარებით გერმანიას, უჭირავს პირველი ადგილი. ამ უკანა-
სკნელ ათ წლის განმავლობაში. პატარა ბელგიაც გადიქცა
„იმ ქვეყანად, სადაც მარტო ქარხნებია“. პატარა ბელგიას
უფრო მეტი ქარხნები აქვს, ვიდრე თვალ გადუწვდენელ რუ-
სეთს.


მაგრამ მიუხედავათ ამისა ინგლისმა, ამ მანქანის სამშო-
ბლომ, უფრო წინ წადგა ნაბიჯი. იმოდენა ადგილზე, რომე-

ლიც უდრის ჩვენ მაზრას — სცხოვრობს თითქმის ათი მილიონი ადამიანი. ეს ხალხი ცხოვრობს ხოლო ქარხნის შემოსავლით და იქ მუშაობით. იქ რომ მოგზაურობ ისე გგონია ერთი ქალაქი გაქვს გასავლელი იმიტომ, რომ ერთი ქალაქი მეორეს გაგრძელებაა — ისეთი პატარა მანძილია მათ შორის. ყოველგან, სადაც მრეწველობა ძლიერ არის გავრცელებული ერთ და იგივე სურათს ნახავთ: გაქვართლული ქალაქები, ცისაყენ ამართული საბოლოოები — თითქო მთელი ტყეა ყოველ მხრიდან გამოიყურება მაღაროები. ყოველი ღამე ხედავთ ალს, რამელიც ამოდის ქარხნებიდან — იქ მუდამ ანთია ცეცხლი. ასე არის ქვა-ნახშირის და ლითონის სამეფო. მაღაროებში, ქარხნებში მუშაობს თითქმის ორი მილიონი ადამიანი. მიწაზე ჰყრია ქვა-ნახშირი, მიწა უნაყოფოა, არასფერს არ იძლევა, გარდა ქვა-ნახშირისა, ლითონისა და თიხისა. შეგიძლიათ რამოდენიმე ვერსიც გაიაროთ და ერთ ხეს ვერ დაინახავთ, ერთ ბუჩქს. ყოველ წლივ ძველს — ახალი ქალაქები ემატება. ერთი წლის განმავლობაში მარტო ერთ ოლქში გაიხსნა შეიდასამდე ახალი ქარხანა და ფაბრიკა.

გაივლის ორი სამი წელიწადი და ახალი შენობები გაშავდებიან უკვე ქვართლისაგან.

ა. ფ.

(დასასრული შემდეგ)



უგულო გავში

(მანგამერისა).

XVII

დასასრული



მ კვირეში, როცა მკის ღღესასწაული უნდა გადაეხადათ, მშვენიერი დარი დადგა, მზე უხვათ გზავნიდა დედამიწისაკენ თავის ბრწყინვალე და მხურვალე სხივებს, მაგრამ უერგემის ნაპურვალეებს და ველებს არაფერი საღღესასწაულო სამზადისი აღარ ეტყობოდათ. კაცებმა კარვები და ბაირალები მიმალ-მომალეს, ქალებმა ახალი კაბების კერვას თავი დაანებეს. დოღღიმ ტირილით შეინახა კამოდში წითელ ფოთლებიანი ხასხასი ყვითელი ჩითი, რომელიც დიდი გაჭირვებით იშოვნა რამდენიმე დღის წინეთ.

ყველა მოწყენილი, ყველა დაღონებული იყო, ყველას ენანებოდა პატარა ჯორჯი, რომელიც კვდებოდა, ყველას უნებლიე ცრემლები ერეოდათ თვალებზე. როგორც კი მოიგონებდნენ ბავშვის მხიარულ სახეს, რომელსაც ვერაოდეს ვეღარ ნახავდნენ; ბავშვის წკრიალა სიცილს, რომელსაც ვერაოდეს ვეღარ გაიგონებდნენ.

ჯორჯი თანდათან სუსტდებოდა, თანდათან უახლოვდებოდა სამარის კარებს, მაგრამ როგორც ლამპარი, დაქრობის წინეთ, ერთხელ კიდევ უკანასკნელათ გამოსცემს ხოლმე სხივმფინარე შუქს, ისე მისი გონებაც, სიკვდილის წინ, უკანასკნელათ, თითქო გამოირკვა და გამოფხიზლდა.

— რას ნიშნავს ეს? — ჰკითხა მან უცებ მამას და თერთოთ გაახილა თავისი დიდი, შავი თვალები.

— რა ჩემო ბიჭიკო?

— ეს ხმაურობა! — და ჯორჯმა მამას თავის შუბლზე მიუთითა.

— იმას, რომ გტკივა ეგ საწყალი პატარა თავი, ჩემო საყვარელო ბიჭიკო!



— მამა, ეს წყალია, წყალი ხმაურობს. გესმის, გესმის, როგორ უხუის! რას ამბობს? რას მაგონებს? მამა, რას მეუბნება წყალი? ჯორჯი მოუსვენრათ აცმუტდა ბალიშზე.

— გალობს. მამა, შენც ხომ კარგათ იცი ეს გალობა! აკი შენც გალობდი! გამახსენე, მომავონე, მამა, მე მინდა გავიგო, რას გალობს წყალი.

სერ ევერარდმა არ იცოდა, რა ექნა, როგორ დაემშვიდებინა, რითი ენუგეშებინა თავისი საწყალი პატარა შვილი.

საბედნიეროთ, მალე ჯორჯმა ისევ დახუჭა თვალები და ისევ დაჰკარგა გრძობა-გონება.

ამ დროს მოისმა ეტლის ხმაურობა და ცხენების ფეხის ხმა; მერე ვიღაც ამოვიდა კიბეზე და წიგნთსაცავის კარებზე მოარახუნა. მოსამსახურე ქალმა ფრთხილათ გაულო კარი. მერე ისევე ფრთხილათ გაიღო პატარა სასტუმროს კარებიც და შიგ ჩარღსი გამოჩნდა.

სერ ევერარდი მაშინვე წამოდგა, მოუახლოვდა თავის ცოლისძმას და ხელი ჩამოართვა. ერთხანს ორივემ დაბალი ხმით ილაპარაკეს, მერე ორივე ერთათ დივანს მიუახლოვდნენ.

ჩარღსი მწუხარეთ დაჩერდა პატარა, ფერ-მიხდილ, თვალდახუჭულ სახეს, რომელიც თეთრ ბალიშზე იყო დასვენებული. ჯორჯს არ ეძინა. ის ცდილობდა, მას უნდოდა მოეგონა რაღაც, ეს რაღაცა სულ თავში უტრიალებდა... და მაინც ვერ გამოერკვია, ვერ გაეხსენებინა იგი.

— მოიცა! — უცებ წამოიძახა მან, თითონვე შეკრთა თავის ხმის გაგონებაზე, გაახილა თვალები და პირდაპირ მიაჩერდა მას, ვინც მის ლოგინთან იდგა.

ეს იყო მალალი, მოხდენილი ყმაწვილი კაცი.

ჯორჯმა ისევ დახუჭა თვალები და აი, მას წარმოუდგა ძველი ეკლესიის ჩაშავებული კედლები და მალალი მაგიდა, და ზედ დიდი ლოცვანი, რომელსაც „ადელაიდა“ აწერია. ის ზის ამ მაგიდასთან, და მის გვერდით ზის ის მალალი, ლამაზი კაცი, რომელიც ახლაც მის გვერდით დგას. ცოტა მოშორებით ზის მამაც; მას ორივე ხელი გულზე დაუჭვდია და ყურადღებით მიჩერებია ღვედელს, რომელიც ქადაგობს.



ამათ ცდილობს ჯორჯი გაიგონოს და გაიგოს ეს ქადაგება; სიტყვების მაგიერათ მას ისევ ისე, შეუწყვეტლათ, სულ წყლის ხმაურობა ესმის.

— ეს ბიძია ჩარლსია! დაიწყა უცებ მან ჩურჩული.— ვაი, ეს რა არის? რას შვება? უკბენს, უკბენს!— და უცებ ბავშმა მხიარულათ გაიცინა, მერე პირში მუშტი ჩაიტენა, რომ ხმა მაღლა ხარხარი არ დაეწყა.

ჩარლსმა გაკვირვებით შეხედა სერ ევერარდს, სერ ევერარდმა ანიშნა, ბოდავს და არ გამოაღვიძოო.

ახლა ჯორჯი ისევ უძრავათ იწვა. ბიძიას ველარ ხედავდა, ველარც წარმოედგინა ხელ ახლავ მისი სახე.

— წავიდა!— ამოიოხრა მან დაღონებით.— მე კი მინდოდა მეკითხა... მოდი, ბიძია ჩარლს, მობრუნდი ისევ!

ვილამაც დაიჩოქა ბავშვის ლოგინთან, ვილამაც დაადვა მას გახურებულ შუბლზე გრილი ხელი. ბავში შეკრთა და თვალები გაახილა.

— შენ ხარ, ბიძია ჩარლს!— სიხარულით წამოიძახა მან თავის დასუსტებული ხმით და სცადა ხელები აეწია, რომ ყმაწვილ კაცს ყელზე მოჰხვეოდა.— მომაგონე ის, ვერაფრით ვერ მომიგონებია...

— რა, ჩემო საყვარელო პატარა?

— არ ვიცი რა... მინდა რაღაც მოვიგონო და ჭერ ვახერხებ. გახსოვს ბიძია, ის კვირა დღე... ზაფხულში, შენ რომ აქ იყავი... მამა, შენ და მე ეკლესიაზე ვიყავით... ვილამაც ამბობდა მაშინ აი სწორეთ იმას, რაც ახლა სულ მესმის, მაგრამ ვერ გამირჩევია... გახსოვს, რა მშვენიერება იყო მაშინ, რა ბედნიერი ვიყავი... სიტყვები კი აღარ მახსოვს. გაჰახსენე, შენ ხომ იცი, რა სიტყვებია, აკი ხაზი გაუსვი მაშინ!..

— ევერარდ, იმ სიტყვებს იგონებს, რომლების შესახებაც იმ დღეს ღვდელი ჰქადაგობდა!— წაუჩურჩულა სერ ევერარდს ჩარლსმა.

— რას გაჩუმებულხარ, ბიძია?— ნადვლიანათ შეეკითხა ისევ ჯორჯი ჩარლსს.

— ახლავე გეტყვი, ჩემო პატარა, მხოლოდ ცოტა მოი-



ცადე, წავალ სახარებას მოვიტან, ზეპირათ არ მახსოვს.

— წადი, ბიძია, მაგრამ, იცოდე, მალე დაბრუნდი. ვაი თუ სულაც აღარ დაბრუნდე!

ჩარლსმა დაამშვიდა აღელვებული ბავში და გავიდა ოთახიდან.

სერ ევერარდმა უცებ შენიშნა, რომ გაიხურა თუ არა ჩარლსმა კარები, ჯორჯი მაშინვე აღელვდა და სცადა საჩქაროთ რაღაც ეთქვა მამისათვის. ის დაიღუნ, მიუახლოვა ყური ბავშვის ტუჩებს, მაგრამ ეს პატარა დასუსტებული ტუჩები ველარაფრის თქმას ვეღარ ახერხებდენ, მხოლოდ გაუგებრათ ლულულულობდენ რაღაცას; სერ ევერარდმა მხოლოდ ერთი სიტყვა გაარჩია და გაიგონა „ჩარლსი“, და სასოწარკვეთილებით მიჩერებოდა ბავშს, რომელსაც ვედრებით და სევდით მიეპყრო მისთვის თავისი დიდი შავი თვალები.

ამ დროს მოისმა ჩარლსის ფეხის ხმა. ბავში კიდევ უფრო აღელვდა, ამ აღელვებამ ცოტა მოაღონიერა, ისე რომ მან, როგორც იქნა, მოახერხა ახალი სიტყვის წარმოთქმა:


— დამპირდი!

— გპირდები, ჩემო ბიჭიკო! საჩქაროთ უპასუხა სერ ევერარდმა, რომელიც გახარებული იყო, რომ ეს ერთი სიტყვა მაინც გაუგო თავის საწყალ პატარა შვილს.

ვერავინ ვერ გაიგო და ვერ მიხვდა, რომ ჯორჯის უკანასკნელი თხოვნა იყო, ბიძია ჩარლსს არ უთხრათ, რომ მისმა მოყვლილმა ამბებმა მაფიქრებინეს იმ ხის ტოტზე გასვლაო.

მამის დაპირებით დამშვიდებული ბავში მოსვენებით დაეშვა ბალიშებზე; ჩარლსმა სახარებიდან კითხვა დაუწყო. „და მესმა ზეციდან ხმა, რომელიც ჰგავდა წყლის ხმაურობას!— ჰკითხულობდა ჩარლსი, და თვალ დახუჭული ბავში მას გატაცებით ყურს უგდებდა.—და მესმა მე ლირის ჰანგები და ციური გალობა... და ის საგალობელი, რომელსაც ისინი გალობდენ, არ ესმის არავის იმ მრავალთა-მრავალ სულთა გარდა, რომლებიც აღსდგენ მკვდრებით“.

ჯორჯი ისე უძრავათ იწვა, რომ ადამიანს ეგონებოდა, ამ ქვეყნათ აღარ არისო. ნაღველი და სევდა მთლათ მოშო.



რებოდა მის სახეს, ის ისე მოსვენებით სუნთქავდა, თითქო ღრმათ სძინებოდეს.

მას ცხადათ ეხატებოდა თვალწინ სამოთხე, რომელზედაც ისე ხშირათ უამბობდა ხოლმე დედა მისი, და სხივფინარე ანგელოზები, რომლებიც ღირაზე უკრავენ, და მრავალთა-მრავალი არსება თეთრ სპეტაკ სამოსლებში, და ოქროს იერუსალიმი ზურმუხტის ზღვაზე, მაგრამ ყველა ამაზე ცხადათ მას თვალწინ ეხატებოდა მისი დედა, რომელიც ალერსიანი, კეთილი ღიმილით დასჩერებოდა მას.

ის აუტანელი ხმაურობა, რომელიც აქამდის არ ასვენებდა და დღემდის მას წყლის ჩხრიალათ ეჩვენებოდა, ახლა სასიამოვნო ჰანგებათ ჩაესმოდა, ახლა ეგონა, შორიდან ანგელოზების და წმინდანების გალობა მესმისო.

ოთახში სრული სიჩუმე სუფევდა. სერ ევერარდი და მისი ცოლისძმა მწუხარეთ დასჩერებოდენ პატარა ავთიმყოფის ფერ მკრთალ სახეს.

დიდ ხანს არ განძრეულა, დიდ ხანს არა უთქვამსრა ჯორჯს, ბოლოს კი ამოიოხრა და სუსტი ხმით წაილაპარაკა:

— რა გვიან არის! ძილის დროა! სადაა ვილლი?

სერ ევერარდს მწუხარებით გული შეეხუთა. გვიან არისო! მზე ის იყო ახლა ესვენებოდა.

— სად არის ვილლი?

სერ ევერარდი გავიდა ოთახიდან, რომ ვილლი მოეყვანა. პატარა ვილლი დასაძინებლათ მომზადებულყო; მას გრძელი ღამის-პერანგი ეცვა, ვირჟინის გვერდით დაჩოქილი იყო და ხმა მაღლა ლოცვებს იმეორებდა.

სერ ევერარდმა საჩქაროთ აუხსნა ვირჟინის, რისთვის მიჰყავდა ვილლი, აიყვანა პატარა და წაიყვანა ჯორჯთან.

— მამა, ლოცვა არ გამითავებია! — უთხრა მამას ვილლიმ და კისერზე ორივე ხელი მოჰხვია.

— არაფერია, ჩემო ბიჭიკო, ჯორჯთან გაათავე — უბასუხა მამამ.

სერ ევერარდმა მოიყვანა ვილლი პატარა სასტუმროში და ფრთხილათ დაუშვა ის დივანზე.



პატარა ვილლი ოთახის სიბნელებს და სიჩუმეს შეაშინა, ის მორიდებით მიეკრა თავის უფროს ძმას.

— ჯორჯ, ჯორჯ, გაიღვიძე, ხელი მომეცი!

— ნუ გეშინია, ვილლი! — წაილაპარაკა ჯორჯმა, რომელიც თანდათან გონებას ჰკარგავდა — რისა გეშინია, მე ხომ შენთან ვარ? — და მან სცადა მიწეულიყო, რომ ძმისთვის მეტი ადგილი დაეთმო, სცადა ხელი აეწია, რომ უწინდელივით გადაჰხვეოდა მას.

— დღეს ნუ ვილაპარაკებთ, ვილლი, მე ძალიან მეძინება! ღამე მშვიდობის! ცოტა ხანს იქით ისევ წაილაპარაკა ჯორჯმა, თან კიდევ რაღაც დაუმატა თავის დედაზე, მაგრამ ისე გაურკვეველათ, რომ ვილლიმ ვერ გაიგონა.

— არ მესმის, რას ამბობ, ჯორჯ! — შენიშნა მან.

ავათმყოფის სახეს უსიამოვნობა დაეტყო და მან ყველგან ბით უთხრა ძმას:

— შენ ხომ არ გახსოვს ის, ვილლი!

— არ მახსოვს! — კრძალვით დაეთანხმა პატარა ვილლი. — მაგრამ შენ ხომ მიაშობო კიდევ ყველაფერს იმაზე?

— ხვალ! — მიუგო ჯორჯმა. — ხვალ, ვილლი. ახლა არ შემეძლია. მშვიდობით, მშვიდობით. — და ორმა პატარა ძმამ უკანასკნელად გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

— ვერც ერთს ვეღარ ვხედავ! — წაილაპარაკა სერ ვეერარდმა. — გადასწიეთ ფარდა!

ფარდა გადასწიეს. მთელი არე-მარე, ყველაფერი, რაც კი პატარა სასტუმროს დიდ ფანჯრიდან სჩანდა, ყველა ის ადგილები, სადაც ის მზიარულათ დათამაშობდა და ცელქობდა ხოლმე პატარა ჯორჯი — ჩამავალი მზის ოქროს სხივებით იყო განათებული; ბატკნები, რომლებსაც ჯორჯი ისე მზიარულათ დასდევდა ხოლმე, ჩიტები, რომლებსაც ის იცნობდა მას აქეთ, რაც მათ ფრენა დაიწყეს, მინდვრები და ველები, რომლებიც ისე დაცარიელებულს ჰგავდნენ მას აქეთ, რაც ის მათზე აღარ დარბოდა და აღარ ხტოდა — ყველაფერი თითქო მოოქრული იყო შუქ მფინარე და ნათელი სხივებით; მაგრამ მაინც ყველაზე უფრო შუქ მფინარე და ყველაზე უფრო ნა-



თელი სხივები, როგორც კი ფარდა გადაიწია, მხემ იმ ოთახში შემოგზავნა, სადაც ორი პატარა ძმა იწვა.

სერ ევერარდმა ახლა კი გაარჩია თავისი შვილები. აი, ორივე აგერ არიან, დივანზე, ერთი მეორის გვერდით, ერთი მეორეს გადახვეულები. ოქროს ფერი სხივები ყოველი მხრით ეხვევა მათ, ეალერსება მათ პატარა სახეებს, ეთამაშება მათ ხუჭუჭ თმებს, გარს ევლებს, ელამუნება მათ, თითქოს იციან, თითქოს ამ სხივებმაც კი კარგათ იციან, რომ ბატკნები ხვალაც გამოეფინებიან ველზე, ჩიტები ხვალაც ინავარდებენ ცის კამარაში, ეს ორი პატარა ძმა კი აღარაოდეს, აღარაოდეს აღარ იქნებიან ასე ერთათ გადახვეულები, ასე ერთი მეორეს ჩაკრულები...

უცებ სერ ევერარდმა, რომელიც ბავშებს დაჩერებოდა, შენიშნა, რომ ჯორჯს სახე დაუღონდა, ზედ ტანჯვა გამოეხატა.

— რა დაემართა? ხომ არ იტანჯება? სიკვდილის ხომ არ ეშინია?—მწარეთ გაიფიქრა საცოდავმა მამამ და სწრაფათ ჰკითხა:

— ჯორჯ, ჩემო პატარა, ჩემო საყვარელო ბიჭიკო, რა დაგემართა? მას უნდოდა, მას საშინლათ უნდოდა რითიმე დაეტკობო, რითიმე გაეადვილებინა თავისი საწყალი ავადმყოფი შვილისთვის მისი უკანასკნელი წამები...

— რა დაგემართა, რა გინდა, ჩემო საყვარელო ბიჭიკო? რა ვქნა, რით დაგეხმარო?

არაფერი! არაფრით არ შეეძლო სერ ევერარდს რომ დახმარებოდა თავის პატარა მომაკვდავ შვილს!

ისევ უჩხრილობდა და უხმაურობდა ბავშს მტკივან თავში, და ახლა გულში მისი შიშის შეეპარა, გავიგებ თუ არა როდისმე, რა არის, რას ნიშნავს ეს უცნაური სიმღერაო. იქნება პატარა ბავშვები ვერაოდეს ვერ გაიგებენ მას, ვერაოდეს ვერ ისწავლიან მას, როგორც ვერ ისწავლიან ფსალმუნების კარგათ ვალობას? „არავისთვის გასაგები არ არის მრავალთა მრავალ სულთა გარდა, რომლებიც აღსდგენ მკვდრეთით“. ბავშვებზე კი იქ არაფერი არაა ნათქვამი.

ამაოთ ცდილობდა სერ ევერარდი გაეგო რა აწუხებდა, რა სტანჯავდა ჯორჯს. იმან კი არა, ვილლიმ გააქარვა ის

შიში, რომელმაც უკანასკნელ წუთებში მამაკვდავ ბავშს სახე დაუღონა.

— ჯორჯ, გძინავს?— უცებ იკითხა პატარა ვილიამ.— მე კი ჩემი ფსალმუნნი არ გამითავებია. მამამ მითხრა, ჯორჯთან გაათავეო. ახლავე გავათავებ.

და ვილიამი სწრაფათ ჩამოსრიალდა დივანიდან, დაიჩოქა ხალიჩაზე და ხელები გულზე დაიყრდნო. მიყუჩებულ ოთახში გაისმა ბავშვის მაღალი, წკრიალა ხმა:

„ღეთას სავარძლის გარშემო დგას მრავალთა მრავალი ბავშვები, რომლებსაც მოტყვევებული აქვთ ყველა მათი შეცოდებანი. წმიდა, ბედნიერი გუნდები, რომლებიც მღერიან:

„აღლილუია, აღლილუია, აღლილუია“.

ჯორჯს თავში ისევ უხმაურებს, მაგრამ შიში გაიბნა, გაიფანტა... ახლა იმან იცის, ახლა მას აღარ ეშინია...

ხმაურობა უფრო და უფრო ძლიერდება. საფეთქლებში რაღაც მძლავრათ სცემს... ყველაფერი ტრიალებს, ტრიალებს და ჯორჯსაც თან მიატრიალებს...

ჯორჯი ცდილობს შეჩერდეს... ის ახელს თვალებს— და რას ჰხედავს? მის წინ დგას დედა მისი, განათებული, გაშუქებული, სხივმფინარე, სიყვარულით უღიმის მას და ხელებს უწვდენს მოსახვევათ, წასაყვანათ...

ჯორჯიც აღტაცებული ღიმილით უწვდენს მას ორივე პატარა, გამხდარ და დასუსტებულ ხელებს და ხმამაღლა იმეორებს:

— ჩემ წასაყვანათ მოხვედი, დედა? მოვდივარ! მოვდივარ!

იქ მყოფებმა მხოლოდ ის დაინახეს, რომ ჯორჯის წელან დაღონებული სახე მთლათ შეიცვალა და ბედნიერი ღიმილით გაშუქდა; მისი ტუჩები შეინძრენ, ფართოთ გახელილი დიდი შავი თვალები აღტაცებით მიეპყრენ დედის სურათს, რომელსაც ჩამავალი მზე უკანასკნელათ სხივებით აცისკროვნებდა. ბედნიერი ღიმილი ბავშვის სახეს არ შორდებოდა, სუნთქვა კი სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა...

— კმარა!— დაბალი ხმით წაილაპარაკა პატარა ვილიამი.
— კმარა! ჯორჯს დაეძინა!

ელ. წერეთლისა.

საფრანგეთის სახელმწიფო

და

საზოგადოებრივი წყობილება.

წერილი მეოთხე.



ონსტიტუცია, რომელზედაც დამყარებულია დღევანდელი საფრანგეთის ცხოვრება, ეკუთვნის 1875 წელს. ეს კონსტიტუცია წარმოადგენს სხვა და სხვა პარტიების შეთანხმების ნაყოფს. ამ კონსტიტუციით საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრება ექვემდებარება ოთხ დაწესებულებას; პირველია აღმასრულებელი ძალა, მეორე საკანონმდებლო, მესამე უმაღლესი სასამართლო და მეოთხე ეროვნული კრება. აღმასრულებელი ძალა საფრანგეთში ეკუთვნის პრეზიდენტს პრეზიდენტს ირჩევს ეროვნული კრება შვიდი წლის ვადით ხმის უმეტესობით. პრეზიდენტს უფლება აქვს, ვადის გათავების შემდეგ ხელახლა იყაროს კენჭი პრეზიდენტობაზე. ეროვნული კრება ანუ კონვენტი არის მხოლოდ შეერთებული სენატი და დეპუტატების პალატა. პრეზიდენტის არჩევნების დროს ეროვნულ კრებას თავმჯდომარეობს სენატის პრეზიდენტი.

შვიდი წლის ვადისას ერთი თვით ადრე პრეზიდენტმა უნდა მოიწვიოს ეროვნული კრება ახალი პრეზიდენტის ასარჩევად. ერთიც ვნახოთ, პრეზიდენტმა არ მოიწვია ეროვნული კრება,—მაშინ? მაშინ სენატი და პალატა ორ კვირეს იცდის, ორი კვირის შემდეგ კი ისინი კანონის ძალით თვითონ იკრიბებიან ახალი პრეზიდენტის ასარჩევად. თუ პრეზიდენტი უეცრათ გარდაიცვალა, ან რაიმე დანაშაულობისა გამო პასუხის გებაში იქმნა მიცემული, მაშინ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე იმის მაგიერობას ეწევა მინისტრთა მთელი საბჭო.



პრეზიდენტობის უფლება აქვს ყოველ სრულ უფლებიან მოქალაქეს არა ნაკლებ ოცდახუთის წლისა. ჯამაგირი პრეზიდენტს ეძლევა წლიურათ ერთ მილიონ ფრანკამდე, ანუ ჩვენებურათ ოთხასიათას მანეთამდე. პრეზიდენტი ვალდებულია, დაამტკიცოს და გამოაცხადოს ყოველივე ის, რასაც სენატი და პალატა შეიმუშავენ. პრეზიდენტს უფლება აქვს საკუთარი დეკრეტების ანუ ბრძანების, განკარგულების გამოცემისა, მაგრამ მისი დეკრეტები კანონებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და ყოველი იმისი განკარგულება სათანადო მინისტრის მიერ უნდა იყოს ხელმოწერილი. ვთქვათ, პრეზიდენტმა ისეთი განკარგულება გამოსცა, რაც კანონს ეწინააღმდეგება. ამგვარ შემთხვევაში სენატი და პალატა პასუხის გებაში აძლევს სამინისტროს. გარდა ამისა ყოველ კერძო მოქალაქეს უფლება აქვს, განასაჩივროს პრეზიდენტის განკარგულება. სხვა და სხვა მოხელეების დაწინააღმდეგე სამოქალაქო და სამხედრო უწყებაში პრეზიდენტის სრულ უფლებას შეადგენს. სამსახურიდან დათხოვაც პრეზიდენტის უფლებათაა. ხოლო პრეზიდენტი ვერ შეეხება სასამართლოს. პრეზიდენტი არის ყველა ჯარების უფროსი. პრეზიდენტი იწვევს პალატასა და სენატს; შეუძლია, გადადვას ან სრულგებირ დაპყროს მათი კრებები; შეუძლია აგრეთვე სრულგებით დაითხოვოს დეპუტატების პალატა ვადის გათავებამდე. სენატის დათხოვა პრეზიდენტს არ შეუძლია. დეპუტატების პალატის დათხოვა პრეზიდენტს შეუძლია მხოლოდ სენატის თანხმობით. ახალი არჩევნები უნდა მოხდეს ორი თვის შემდეგ და ახალი პალატა არჩევნების შემდეგ ათ დღეში უნდა შეიკრიბოს. პრეზიდენტს უფლება აქვს ამა თუ იმ წინადადებით მიმართოს პალატას. სხდომებზე დასწრების უფლება პალატაში პრეზიდენტს არა აქვს, ამიტომ იმის წინადადებას ჰკითხულობს და იცავს რომელიმე მინისტრი. პრეზიდენტი არის მთელი საფრანგეთის წარმომადგენელი სხვა და სხვა სახელმწიფოსთან რაიმე ხელშეკრულობის დროს, ხოლო პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ომი გამოაცხადოს სენატის ანუ ზედა პალატისა და ქვედა პალატის დაუთანხმებლათ.

საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგ. წიგნობა 61

როგორც მოვიხსენიეთ, პრეზიდენტის ყოველ განკარგულებას მინისტრები აწერენ ხელს, ამიტომ პრეზიდენტის ყოველ მოქმედებაში მინისტრები არიან პასუხის მგებელნი. ხოლო თუ პრეზიდენტს სახელმწიფოს დალატი დაჰბრალდა, მაშინ დეპუტატების პალატა მას სამართალში აძლევს. პრეზიდენტის გასამართლება არის სენატის საქმე.

აღმასრულებელ ძალას უმთავრესათ წარმოადგენს სამინისტრო. პრეზიდენტი ირჩევს პირველ მინისტრს დეპუტატების პალატის უმთავრესი პარტიიდან. პირველი მინისტრი თვითონ ირჩევს თავის ამხანაგებს, ხოლო მათ ამტკიცებს მინისტრებათ პრეზიდენტი. მინისტრები ერთათ შეადგენენ მინისტრთა საბჭოს, რომელიც მართავს მთელ სახელმწიფოს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან რესპუბლიკის პრეზიდენტი, ან მინისტრი-პრეზიდენტი სამინისტრო თავის მოქმედებაში პასუხის მგებელია ორივე პალატის წინაშე. თუ პალატის უმრავლესობამ სამინისტროს უნდობლობა გამოუცხადა, ეს იმას ნიშნავს, რომ დეპუტატების უმრავლესობა სამინისტროს წინააღმდეგია. ამ შემთხვევაში სამინისტრო უნდა გადადგეს და პრეზიდენტი ირჩევს დეპუტატთა შორის პირველ მინისტრს ახალი სამინისტროს შესადგენათ. სენატმა თუ სამინისტროს უნდობლობა გამოუცხადა და პალატამ კი არა, სამინისტრო არ გადადგება. ამ გვარათ სამინისტრო უფრო პალატის ზედამხედველობას ემორჩილება, ვიდრე სენატისას. ამა თუ იმ დანაშაულობისათვის მინისტრს პასუხის გებაში აძლევს პალატა. მინისტრის გასამართლება არის სენატის საქმე.

საკანონმდებლო ძალას წარმოადგენს დეპუტატების პალატა და სენატი, ანუ ქვედა პალატა და ზედა პალატა. დეპუტატებს ირჩევენ მოქალაქენი პირდაპირი, ფარული და საყოველთაო კენჭის ყრით. არჩევნების უფლება აქვს ყველას, ვინც კი ოცდა ხუთის წლის არის, და საარჩევნო უბანში ექვზი თვე მაინც უცხოვრია და სამართალში არ არის მიცემული. საშხედრო პირნი, სანამ ისინი სამსახურში არიან, საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან. დეპუტატთა არჩევნის უფლება აქვს ყველა ოცდა ხუთი წლის მოქალაქეს, თუკი ის



სამართალში არ არის მიცემული; მხოლოდ სამხედრო პირნი, ეფისკოპოზები და სამეფო გვარეულობის წევრნი ამ უფლებას მოკლებულნი არიან. თუ სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირი დეპუტატთა აირჩიეს, ამგვარმა პირმა ან სამსახურზე უნდა აიღოს ხელი, ან დეპუტატობაზე.

მთელი საფრანგეთი ირჩევს 580 დეპუტატს. არჩევნები ხდება მთელს საფრანგეთში ერთსა და იმავე დღეს—კვირას. ყოველ დეპუტატს ირჩევენ ოთხის წლის ვადით.

ზედა პალატას, ანუ სენატს შეადგენს 300 სენატორი. სენატორებს ირჩევენ დეპარტამენტები და კოლონიები ცხრა წლის ვადით. სენატორი წლოვანებით ორმოც წელზე ნაკლები არ უნდა იყოს.

არჩევნებში კანონი ქონებას ანუ ცენზს მნიშვნელობას არ აძლევს. დეპუტატობისათვის საჭირო არ არის მაინცადამაინც ქონება, მაგრამ რადგანაც საფრანგეთში ბურჟუაზია ძლიერია, არჩევნებზედაც ის იმარჯვებს. დეპუტატებსა და სენატორებს ჯამაგირი ეძლევათ. დეპუტატი ხელშეუხებელია, ე. ი. რაც უნდა ილაპარაკოს მან პალატაში, ამისათვის მას მთავრობა ხელს ვერ ახლებს. თუ დეპუტატმა რაიმე დანაშაული ჩაიდინა, მისი დაპატიმრება ან სამართალში მიცემა პალატის სხდომების დროს მთავრობას არ შეუძლია, თუ პალატამ ნება არ დართო.

რას აკეთებს ორივე პალატა? ის თვალყურს ადევნებს აღმასრულებელ მთავრობას და იმის მოქმედებას, ადგენს ახალ კანონებს, აწესრიგებს გადასახადებს, ანაწილებს სახელმწიფოს შემოსავალს, ამტკიცებს სახელმწიფოს ყოველწლიურ ხარჯს და თვალყურს ადევნებს, თუ როგორ ხარჯავს სამინისტრო გადადებულ ფულს. ახალ კანონ-პროექტს არადგენს პალატაში პრეზიდენტი; ყოველ დეპუტატსაც უფლება აქვს ახალი კანონ-პროექტის შეტანისა. კანონ-პროექტი გარდაეცემა კომისიას; კომისია კიდევ პალატას წარუდგენს თავისი მოსაზრების დამატებით. ყოველი ახალი კანონი მხოლოდ მაშინ შედის ძალაში, როცა მას მიიღებს და დაამტკიცებს ორივე პალატა.

სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას ეწო-



დება ბიუჯეტი. ყოველი შემდეგი წლისათვის ბიუჯეტს ამტკიცებს ორივე პალატა, ე. ი. ორივე პალატა ამტკიცებს შემოსავალს და შემდეგ ანაწილებს გასავალს. სამინისტრომ უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული ბიუჯეტით, აილოს და დახარჯოს მხოლოდ ის, რაც პალატის მიერ არის ნაჩვენები და დახარჯოს ისე, როგორც პალატასა აქვს გადაწყვეტილი. ამ გვარათ აღმასრულებელი მთავრობა სრული მორჩილია საკანონმდებლო მთავრობისა საფრანგეთში, — იქ უფლება მბრძანებელია, ძალა კი აღმასრულებელი, ძალა იქ უფლებას, კანონს ემორჩილება. ავიღოთ მაგალითათ რუსეთი, საცა აღმასრულებელ ძალას წარმოადგენს ბიუროკრატიული მთავრობა, საკანონმდებლოს კი სახელმწიფო დუმა. სახელმწიფო დუმა აღმასრულებელი ძალის მორჩილია, ე. ი. აქ ძალა, მუშტია მბრძანებელი, უფლება და კანონი კი მუშტის ყურმოჭრილი ყმა. საფრანგეთში აღმასრულებელი ძალა ხელშეკრულია, ის უფლებას ვერ დაარღვევს და თუ დაარღვია, დაისჯება. იმგვარ სახელმწიფოში კი, როგორც რუსეთია, აღმასრულებელი ძალა თავისუფლათ დათარეშობს, უფლებას ყოველ ნაბიჯზე ფეხქვეშ სთელავს და პასუხს ვერავინ ვერ მოსთხოვს.

ყოველ დეპუტატსა აქვს ვგრეთ წოდებული ინტერპელაციის უფლება. რაში მდგომარეობს ეს უფლება? დეპუტატს შეუძლია, წინადადება მისცეს პალატის სამინისტროს ან კერძო მინისტრის მოღვაწეობის შესახებ მსჯელობა ვიქონიოთო. ამ გვარი წინადადება ყოველთვიი დაწერილი და დასაბუთებული უნდა იყოს. პალატა ნიშნავს ვადას და, კამათის დროს თუ დეპუტატთა უმეტესობამ სამინისტროს მოქმედება არ მოიწონა, სამინისტრო უნდა გადადგეს და ალაგი დაუთმოს ახალს.

საფრანგეთში არსებობს უმაღლესი სასამართლო. ამ სასამართლოს მოვალეობას ასრულებს სენატი. ეს სასამართლო ასამართლებს პრეზიდენტს, მინისტრებს და ყველა მოქალაქეს, რომელსაც კი სახელმწიფო ღალატი ჰბრალდება. პრეზიდენტისა და მინისტრების სამართალში მიცემა შეუძლია მხოლოდ დეპუტატების პალატას; კერძო მოქალაქეებს კი, რომლებსაც სამშობლოს მოღალატეობა ჰბრალდებათ, პრეზიდენტს.

თუ ორივე პალატის წევრთა უმრავლესობამ მოითხოვა კონსტიტუციის გადასინჯვა, მაშინ ორივე პალატა შეერთდება და შეადგენენ ეროვნულ კრებას. ეროვნული კრება უნდა შეიკრიბოს ვერსალში და არა პარიზში, რომ ხალხმა იმაზედ გავლენა არ იქონიოს. ეროვნულ კრებას შეუძლია კონსტიტუციის შესწორება, ხოლო მას უფლება არა აქვს, რესპუბლიკა სხვა წესწყობილებით შესცვალოს.


კონსტიტუციით საფრანგეთში წოდებები არ არსებობენ და კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

ყოველი მოქალაქე ხელშეუხებელია. უკანონო მოქალაქეს ვერაფერ დააპატიმრებს და პოლიცია იმის ბინას ვერ გაჩხრეკს, თუ სასამართლომ არ მოახდინა საამისო განკარგულება-


საფრანგეთში სინიდისის სრული თავისუფლებაა. ყოველ მოქალაქეს შეუძლია ის სარწმუნოება მიიღოს, რომელიც მას უფრო მოსწონს.

საფრანგეთში სიტყვის, წერის და კრებების სრული თავისუფლებაა.

ივ. გომართელი.



მოსილი აქვს შავის თმით, აგრეთვე შავის ფერისაა თვალებზე ჩამოფხუტული თმის ქოჩორი, ხოლო მოკლე წვერი ყვითელი ფერისა აქვს.



ინდუსების მრავალ ღმერთებთა შორის ჰულმანს საკმაოდ საპატიო ადგილი უჭირავს, ხოლო რითი დაიმსახურა ამგვარი თაყვანის ცემა, ამის შესახებ ხალხში შემდეგი თქმულება არის. დევმა **რავანმა** მოიტაცა მშვენიერი სითი, მეუღლე შირი-რამისა, და მოიყვანა თავის კოშკში ცვილონის კუნძულზე. ჰულმანმა თურმე მოსტაცა მას მშვენიერი სითი და ისევ თავის ქმარს მიჰგვარა. მას შემდეგ ჰულმანი გამოჩენილ გმირად ითვლება. სხვაფორივაც ბევრნაირად სწამთ ჰულმანის სულის ძლიერება და მოხერხება. ისიც მისი უნარიანო, ამბობს ხალხი, რომ ჩვენ ვსტკბებით საუკეთესო ხილით, რომელსაც **მანგო** ჰქვია. ამ ხილის ნერგი ჰულმანმა მღვეის ბალიდან მოიპარა, ქურდობა გაუგეს და ცეცხლში უნდა დაეწვათ დამნაშავე, მაგრამ ჰულმანმა ცეცხლი ჩააქრო და მას შემდეგ შავად შეტრუსული დარჩა პირისახე და ხელებიო. აი ამ საბუთების ძალით ბრამინებმა წმინდანებში ჩარიცხეს ეს ლამაზი მაიმუნი.



ინდუსებს სწამთ, რომ სიკვდილის შემდეგ იმათი სული ამ მაიმუნებში სცხოვრობს და ეს ცრუ მორწმუნეობა უფრო აძრწობს ჰუმანების სიწმინდეს. ჰუმანებიც სავსებით სარგებლობენ თავის პრივილეგიით, პლანტაციებში იმათ ხმას არაჟინა სცემს, თავისუფლად დასეირნობენ სოფლის ბანებზე, ერდობებზე, ქუჩებში, ბაღკონებზე და ზოგჯერ სუფრაზედაც ესწრება ხოლმე მცხოვრებლებს. ხალხი არამცთუ ეწინააღმდეგება, პირიქით ბანებზე და აივნებზე ტკბილეულობას ალაგებს ჰუმანებისთვის. აი ასეთ ალერსში და ნებივრობაში იზრდებიან და დროს ატარებენ ეს კოპწია მაიმუნები. ღმერთმა ნუ ქნას ვინმემ (ევროპიელმა) ხელი ახლოს, მთელი სოფელი საომრად აღსდგება.

ჰუმანისავე გვარს ეკუთვნის ძლიერ ლამაზი მაიმუნი **ბუდენგი**, *S. Taurus*, რომელიც კუნძულ იავაზე სცხოვრობს.

*

მეექვსე გვარის წარმომადგენლად დავასახელებთ დიდცხვირა მაიმუნს, *Nasalis larvatus*. ამასვე ჰქვიან **კახაუ**, რადგან, როცა ყვირის, ასე იძახის. დიდი ცხვირი ისე მოქნილი აქვს, როგორც ხორთუმი.

მეშვიდე გვარი.

ტანსქელი მაიმუნები

Colobus.

აფრიკაში სცხოვრობენ ტანწვრილ მაიმუნების ნათესავები, **ტანსქელი მაიმუნები**. ესენი უმთავრესად იმითი განსხვავდებიან, რომ ხელზე ოთხი თითი აქვთ, რადგან ცერი ძლივს-ლა ეტყობა, გარდა ამისა უფრო ტლანქი ტანისა არიან და მძიმე მიხვრა-მოხვრა აქვთ. ბეწვის ფერადებიც ნაკლებად ასიამოვნებენ თვალს.

ტანსქელ მაიმუნების წარმომადგენლებიც უნდა დავასახელოთ:

გვარეცა, *Colobos guereza*.

შესანიშნავი, ლამაზად აჭრელებული ბეწვი აქვს, სცხოვრობს აბაშეთში. ადგილობრივ მისი ტყავი ძვირათ ფასობს,

რადგან მეომარნი თავის ფარს გარშემო მორთავენ ხოლ-
მე გვარეცას
ლამაზ ბეწ-
ვით. აბაშე-
თის სატახტო
ქალაქში გო-
ნდარაში თი-
თო ტალღე-
რათ ყიდუ-
ლობდენ გვა-
რეცას ტყავს.



ამ მაი-
მუნთა გვარის

მსგავსნი არიან: **დათვისსახის მაიმუნნი**—*Colobus ursinus*, **სა-
ტანა**,—*Colobus Satanas*. ეს უკანასკნელი სრულებით პიტალო-
შავია, ამით დაჯმსახურებია ეს სახელი.

მერვე გვარი.

მარტიშკები, Cercopithecus.

ყველაზე უდიდესს, უუმსგავსეს და ვერაგ მაიმუნებს გარ-
და, აფრიკა უმასპინძლდება მეტად ლამაზ, კოპწია ტანის,
ალერსიან მაიმუნებს. ჩვენ ვამბობთ ესრედ წოდებულ მარ-
ტიშკებზე, რომელნიც ძრიელ დიდ გვარს შეადგენენ. ზოო-
ლოგიურ ბაღებში და სამხეცეებში ძრიელ ხშირად შეხვდე-
ბით მარტიშკების გვარის მაიმუნებს.

სიტყვა **მარტიშკა** წარმოსდგა ინდოელების *Marcata*-საგან,
რომელიც ევროპელებს დაჯმხინჯებიათ „Meerkatze“, რაიცა
ნიშნავს ზღვის კატას (მარტიშკა), მაგრამ ამ მაიმუნებს ზღვა
თვალითაც არ უნახავსთ და კატას ხო სრულებით არაფრით
ჰგვანან.

მარტიშკები მრავლად სცხოვრობენ აფრიკის შუაგულ
ცხელ ადგილებში, მეტადრე აღმოსავლეთისა და დასავლეთის
ტროპიკულ ტყეებში. აბაშეთში, საცა კი ნოტიო ატეხილი
ტყე და მდინარე წყალი ხელს უწყობს, საესეა მარტიშკებით.

შენიშნულია, რომ სადაც კი ტყეში თუთიყუშია, იქ უეჭველად მარტიშკებსაც შეხვდებით.

მარტიშკები მეტად მოხდენილი, ტანწვრილი, კობტა და კაპწია ტანის აგებულობისა არიან. ხელ-ფეხი აქვთ მოკლე და მოხდენილი; კუდი გრძელი, ყვრიმლის თალიები შედარებით დიდი, ხოლო დუმები დიდად დაკორძებული. შემოსილი არიან უფრო ხშირად ღია ფერის ბალნით. მეცნიერები აქამდე იცნობენ ოცზე მეტ ამ გვარის მაიმუნთა მსგავსს.

მარტიშკებს ძრიელ უყვართ თავის საზოგადოება, ერთობა, მეგობრობა, ერთად დროს გატარება და რაიმე განსაცდელის დროს ერთმანეთისთვის თავის დადება.

ეს კუდიანი ცელქები სილამაზესთან მეტად ცქვიტები, მალხაზები და ერთობ მხიარულება არიან. ერთ წუთს არ გაჩერდება მათი ხელი და ფეხი: ყვირიან, ჭიდაობენ, სუსნამენ, სუნამენ, ჩხუბობენ, რიგდებიან, ხეებზე ახტი-დახტიან, აძვრებიან, ჩაძოძვრებიან, მალაყზე გადადიან, გარბი-გამორბიან, გააქვთ ერთი ალიაქოთი და განგაში: იმან ფეხი იღრძო, ამან საღსარი მოიტეხა, იმან სახე დაიმახინჯა. ზოგი მზეზე თბება, ზოგი ამხანაგს თავს უხილავს, ზოგი ეხახუნება და ასე მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ხეებზე არიან განუწყვეტელ მხიარულებაში და აურ-ზაურში. როცა მოშვივთ, თუ ახლო-მახლო ხეებზე აღარა ეგულებათ-რა, მაშინ მთელი ხროვა ჩამოდის ხეებიდან და ამხედრებული მიდის სადავლაოდ. წინ მიუძღვით ბელადი, რომლის ბძანებასაც სრულათ ემორჩილებიან. მიხტიან ერთი აურ ზაურით და ვაი იმ პლანტაცია-ბოსტნების ბრალი, სადაც კი ესენი შეესევინან—რასაც სჭამენ იმას ვინ ჩივის, ახლა გაივსებენ ხოლმე ყვრიმლის თალიებს (სათადარიგოდ) და თანაც ამოიჩრიან ხელსა და იღლიებში, რამდენსაც კი მოახელებენ. რასაკვირველია ყოველთვის გამარჯვებული ვერ ბრუნდებიან და თუ მოულოდნელად მტერს შეეფეთენ, ნადავლს გადაჰყრიან და წამსვე ავარდებიან ხოლმე მაღალ ხის კენწეროებზე—წადით და სდიეთ.

რალა გასაკვირველია, რომ ადგილობრივი მკვიდრნი, მე-



ტადრე სუდანის აღმოსავლეთისა, ძრიელ მტრულის თვალით უცქეროდენ ამ მაიმუნებს.

მარტიშკებს მხოლოდ ადამიანის ქკუა და ტყვია იმორჩილებს, თორე სხვა არაფერი, მტერს მასხარათაც იგდებენ. ბევრჯელ ცდილა ჰაერის მეფე—არწივი ამ მაიმუნთა ხორციტ ტრაპეზი გაემართა, მაგრამ ერთს რომ ჩაუყრის თავის საშინელ კლანჭებს, ამის ყვირილზე მთელი ხროვა მაიმუნებისა გულ და გულ ეცემა არწივს და თუ თავი არ დააღწია, ძვალსა და რბილს გუფთად უქცევენ. მხოლოდ ლეოპარდი ახერხებს მარტიშკებზე გალაშქრებას, რადგან ლეოპარდი ხის ტოტებზედაც ძრიელ ფეხ მარდია და მისი ნახტომიც ბევრად გაბედული.

საშინლად ეშინიანთ მარტიშკებს გველისა. მაგალითად, ამათ ძრიელ უყვართ ჩიტის კვერცხებით ყელის ჩაკოკლოზინება და ბლარტებისაც ხომ დიდი მუსუსები



არაიან. მაგრამ მარტიშკების საუბედუროდ ფრინვლის ბუდეები უფრო ხშირად ხის ფულუროებშია ჩადგმული, სადაც თითქმის ყოველთვის გველიც ბუდობს. ახლა წარმოიდგინეთ ეს მსუნავი ეშმაკები რამდენ ნაირ მოსახრებას იჩენენ, ვიდრე წადილს მიაღწევენ—სუნამენ, ყურს ადებენ და მხოლოდ ამის შემდეგ, ისიც დიდის სიფთხილით ხელს ჰყოფენ ფულუროში ბუდის ამოსაცარიელებლად.

*

მარტიშკების მსგავს მაიმუნებში ყველაზედ გამოჩენილნი არიან:

1. **აბულანჯი** (არაბულად) ანუ მწვანე (იხ ვვ. 29).

მაიმუნი, *Cercopithecus sabaeu*, სცხოვრობს აბაშეთში, ერთი ადლის სიგძეა კუდიც რომ ჩაეუთვალათ. წვერი მოკლე აქვს, ბალანი ზემოდან ნაცარა-მწვანე ფერისაა, ხელ ფეხზედ და კულზე ნაცრის ფერია; ცხვირ-პირი და წარბები კი შავი აქვს.

2. **დიანა**, *C. diana*. ყველაზე უმშვენიერესი, კვკლუცი და ლამაზი მაიმუნია—მართლაც რომ დიანაა. სცხოვრობს დასავლეთ აფრიკაში.

3. **მუიდა** (ასე უძახიან ადგილობრივ) ანუ ლურჯ-ზრთ-შიანი მარტიშკა, *C. Cephus*. იქვე დასავლეთ აფრიკაში სცხოვრობს, ტანად აბულანჯის ტოლაა, მშვენიერ ფერადებითაა აჭრელებული, თითქოს განგებ დაუხატავს ვისმეო.

პიხეულ-ლემე ამბობს: „ხუთი წელიწადი ვწურთნიდი ახალგაზდა მუიდას და უნდა მოგახსენოთ, რომ ძრიელ ადვილად მოშინაურდა, არავის არას ერჩოდა, მხოლოდ კი საშინლად ანჩხლებდა ვისიმე დაცინვა და ხებრული მასხარად აგდება. მერე ეს საუცხოოთ აჭრელებული მაიმუნი შინ, ევროპაში, წამოვიყვანე და საუკეთესო საჩუქრათ გარდავეცი ჩემს სახლობას. სახლში სრულებით თავისუფლად დადიოდა, ჩვენთან ერთად სჭამდა, სვამდა, თამაშობდა. ისე შეეჩვია შინაურებს, რომ როცა ჩემი ცოლი ავად გახდა მაიმუნი საშინლად ნალვლობდა—კინალამ ჯავრმა გადაიტანა.

მეცხრე კუარტი.

მაკაკები, Macacus.

მაკაკები ჯმუნი ტანის, ჩამჯდარი აგებულებისა არიან. ამათში უკუდგანი სცხოვრობენ ჩრდილო აფრიკაში, ჩინეთში და იაპონიაში, ხოლო კრძეფკუდა მაკაკები ინდოეთში და მის კუნძულებზე იმყოფებიან, საცხოვრებლად ირჩევენ ან ტყეებს, როგორც მარტიშკები, ან კლდიან მთებს, როგორც პავიანები. ახალგაზლობაში მშვიდობიანი და მხიარულნი არიან, როგორც მარტიშკები, ხანშესულებს კი ხასიათი ეცვლებათ—ანჩხლები არიან და თავხედობენ

ამათ გვარის მაიმუნებში უფრო ცნობილი არიან შემდეგი მსგავსნი:

1. **მაკაკი**, ანუ იავას მაიმუნი, ანუ მანეთი, როგორც იავენელები უძახიან, *Macacus Cynomolgus*. სცხოვრობს ზონდის კუნძულებზე. თითქმის ყველა გემს, რომელიც კი ინდოეთიდან ევროპაში მოდის, თან უეჭველად მოჰყავს რამდენიმე მაკაკი, რომლებსაც ადგილობრივ ჰყიდულობენ ჩირის ფასად. ამიტომაც მთელი ევროპის ზოოლოგიური ბაღები სავსეა ამ მაიმუნებით. ეს გიჟმაყი მაიმუნები ძრიელ ადვილად შინაურდებიან და ჩქარაც იწვრთნებიან. ხშირად სცენაზედაც გამოჰყავთ თეატრებში, სადაც ხელზე მოსამსახურის როლს ასრულებენ.

2. **ბუნდერი** ანუ მარკატი, როგორც ინდოელები ეძახიან, *Macacus rhesus*, კაპიტანი ჯანსონი ამბობს: „ძრიელ სადღო კაცისაგან გამიგონია, რომ ამ მაიმუნსაც ინდუსები ისწმინდანათ სთვლიან, როგორც ჰულმანს. ბაკელები (სოლია) მინდვრებში თავის ჭირნახულის მეათედ ნაწილს გასტოვებენ ამ მაიმუნის საწირავად. მარკატებიც ბატონრად მთიდან ბარად ჩამოდნიან ამ ღალის მოსაკრეთად“.

წარმოიდგინეთ, რომ ევროპიელი პლანტატორებლებულნი არიან ღალა აძლიონ ბუნდერებს, თორემ თია მთელი ხროვა ამ მაიმუნებისა დაურიდებლად. ში და თავის ქეიფზე ააოხრებს. ვერც დამცველ რეშემო გაჩაღებული ცეცხლი და ჩირადნები აშინებს. თუ რო თოფით მოჰკლავ, ამგვარ თვის ინდოელები შენც ზედ მიგაყოლებენ.

აი ერთი საყურადღებო ამბავიც: 1. ბანოვანმა ლედი ბერკერმა, ერთს დღე დაარბაზობა გაუმართა ქალაქის წარგაშლილი სუფრა თავის ხელით შვიათ ხილით და სანუკარი სანმორთო სუფრა ყვავილებით ეწვევოდენ. ოთახში შევიდა ბრძანდა კოპწიად მორთუ



მ ა გ ო

მტერმა ნახოს!—მიოლად სუფრა ბუნდერებს მოეწმინდათ და იქაურობა აეოხრებინათ. თურმე ეს მაიმუნები იქვე, შორიასლოს, მალალ ხეებზე მსხდარან და როცა ქალბატონი გაუგულებიათ და მოსამსახურენიც სალაყბოდ გასულან, უხელთიათ დრო და გემრიელად მიურთმევიათ იშვიათი ტკბილეულობა. ასე კი გაახელეს თავმომწონე ლედთ, მაგრამ როგორ შევიძლიათ აღავმოთ „წმიდა“ მაიმუნების თავგასულობა.

მკათე გვარნი.

მაგოტები. Inuus.

მაგოტი, *Inuus exudatus*, სუსტი აგებულობისაა და თანახდარია. ყველა მაკაკებზე შესანიშნავია ზოგიერთის ს ერთადერთი მაიმუნია, რომელიც დღეს ევროპაში აღ სცხოვრობს, მაგოტს კუდი არ ეტყობა და ამიტომ მსგავსებს აცალკევებენ. ზოგი ეძახის **ასმაღურ**, ანუ უბრალო მაიმუნს.

სამშობლო მაგოტისა ჩრდილო-დასავლეთი აფრიკისაა, ალჟირი და ტუნისი. აქედან მოუყვანიათ ში და ლეთის ანაბარად გაუშვიათ ტყეში. მხოვრობს მხოლოდ გიბრალტარის კლდე-კლდისებულთა ჯარი მფარველობას უწევს. მფერებია, მთელი დღე კლდეებზე მჯდომარეობენ მწერების საძებნელად. მფერებიაზე ძირელ უყვარს მარცხენა მფერებზე ხოლომე მზამიან კუდს უყვარს ცხოვრება ფრთხილადის დროს გასატარებ-



საქართველოს
ხელმოწერა